http://www.tsu.ge/newspaper

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

უნივერსიტეტში გრიგოლ კიკნაძის დაბადებიდან 100 წლისთავი აღინიშნა

მე-7 გვერდზე

ალმა მატერ

უნივერსიტეტი

19 ივნისი, პარასკევი, 2009 წ. №8 (2090)

უნივერსიტეტის პროფესორები საქართველოს ეროვნული პრემიით დაჯილდოვდნენ

25 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწეები შოთა რუსთაველისა და საქართველოს ეროვნული პრემიებით დააჯილდოვა.

მეცნიერთა ორი ჯგუფიდან, რომლებიც საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატები გახდნენ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერები — მიხეილ ნიორაძე, ანზორ ხელაშვილი და ზურაბ მენთეშაშვილიც არიან. მათთან ერთად დაჯილდოვდა, ასევე, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი ვახტანგ გარსევანიშვილი. მათ გადაეცათ დიპლომები, მედლები და ფულადი პრემია 10 000 ლარის ოდენობით.

მაია ტორაძე

„მიუხედავად იმ დიდი ზარალისა, რომელიც ჩვენს მეცნიერებას გაჭირვების, თავმოუბმელობის, შეცდომების გამო მიადგა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მეცნიერები ვერ დადიოდნენ კონფერენციებზე, ვერ იწერდნენ ლიტერატურას, ისინი მაინც ნამდვილი ენთუზიასტები და იდეალისტები არიან. ისინი უშუქობაში, უხელფასობის დროსაც კი არ წყვეტდნენ მუშაობას და მაინც იქმნებოდა ახალი სამეცნიერო ნაშრომები — მსურს ამ ხალხს დიდი მადლობა გადავუხადო“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მეცნიერების დაჯილდოებისას.

კონკურსი საქართველოს ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ გასულ წელს გამოაცხადა, მაგრამ აგვისტოს ომის გამო ჟიურის მუშაობამ მცირე ხნით გადაინია. მიმდინარე წლის გაზაფხულზე კონკურსი განახლდა. მეცნიერთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები — მიხეილ ნიორაძე, ანზორ ხელაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი და ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი ვახტანგ გარსევანიშვილი იყვნენ გაერთიანებული, საკონკურსოდ წარადგინა ფუნდამენტური ნაშრომი: „სინათლის ფრონტის ფორმალიზმის გამოყენება ბმული მდგომარეობების აღწერისათვის მაღალი ენერგიების ელემენტარული ნაწილაკებისა და რელატივისტურ ბირთვულ ფიზიკაში“.

აღნიშნული ნაშრომი, რომელიც 74 გვერდს მოიცავს, 2008 წლის მარტში დაიბეჭდა ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ მიმოხილვით ჟურნალში "Physics Reports".

ნაშრომი ეყრდნობა თითქმის 40-წლიან შრომას და ექსპერიმენტებს ფიზიკის დარგში. კერძოდ, 1974-75 წლებში მეცნიერთა ამ ჯგუფმა სიახლე დანერგა სინათლის ფრონტის გამოყენებაში, რომლის იდეაც ცნობილმა მეცნიერმა დირაკმა 1949 წელს წამოაყენა. 1970-იანი წლებიდან ამ მეთოდის მიხედვით დაიწყო გარკვეული ამოცანების გადაწყვეტა, რომელშიც არ ითვალისწინებდნენ შინაგანი მოძრაობის მომენტს – სპინს და ყველაფერი დაიყვანებოდა გარკვეულ ცვლადთა შეცვლაზე. თეორეტიკოსმა ფიზიკოსმა, პროფესორმა ანზორ ხელაშვილმა კი დაასაბუთა, რომ სპინიანი ამოცანები ძალზე პრინციპულია, რადგან ნაწილაკების შემადგენელი ფუნდამენტურ ნაწილაკებს სპინი გააჩნიათ და მათი სპინის გარეშე განხილვა ზუსტი არ არის. მან შეძლო ამ ამოცანის გადაწყვეტა. ამის შემდეგ მეცნიერთა ჯგუფმა დაიწყო სპინიანი ნაწილაკებისთვის სინათლის ფრონტის ფორმალიზმის ჩამოყალიბება. ეს მოხდა 1974-75 წლებში, 5-6 წლით ადრე, სანამ ამ მეთოდს საზღვარგარეთ გამოიყენებდნენ. დაგროვდა ბევრი შრომა და ექსპერიმენტი, რომლებშიც ბატონმა მიხეილ ნიორაძემ და ზურაბ მენთეშაშვილმა ექსპერიმენტული მასალის ანალიზი ჩაატარეს ფორმალიზმის მეთოდის გამოყენებით, რამაც საშუალება მისცათ გაერთიანებულიყვნენ თეორეტიკოსებთან – ანზორ ხელაშვილთან და ვახტანგ გარსევანიშვილთან. სამეცნიერო ნაშრომების მთელი სერიის შემდეგ დაიწერა სწორედ ის მიმოხილვითი სამეცნიერო სტატია, რომელმაც ამ სფეროში მათი მოღვაწეობა დააგვირგვინა.

საქართველოს ეროვნული პრემიის საკონკურსო ჟიურიმ მიიჩნია, რომ ნაშრომი პრემიას იმსახურებდა.

„ჩემთვის დიდი პატივია ამ პრემიის მიღება, მაგრამ სიმართლე გითხრათ, არ გამკვირვებია, რადგან ამ ნაშრომში თითოეული ჩვენგანის კოლოსალური შრომაა ჩადებული. დღეს ამ მეთოდს ბევრი მეცნიერი იყენებს. იგი სხვადასხვა ამოცანის გადასაწყვეტად გამოიყენება ჟენევაში მდებარე გაერთიანებული ბირთვული კვლევების ცენტრში — CERN-შიც“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ეროვნული პრემიის ლაურეატმა, პროფესორმა ანზორ ხელაშვილმა.

მეცნიერთა ეს ჯგუფი ამჯერად საინტერესო ამოცანების გადაწყვეტითაა დაკავებული. ვიმედოვნებთ, მათი ძალისხმევა მეცნიერებას კიდევ მეტ წარმატებას მოუტანს.

რუსეთ-საქართველოს ომის ფუნდამენტური მიზეზები

გრიგოლ ვაშაძე სადისკუსიო მაგიდასთან

მაია ტორაძე

29 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, პრიორიტეტები და პერსპექტივები გააცნო.

შეხვედრის დასაწყისში უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ მინისტრს პარტნიორობისთვის მადლობა გადაუხადა. „საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებით ჩვენ მნიშვნელოვანი ლობისტი გვყავს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სახით. თანამშრომელთა უმრავლესობა უნივერსიტეტის აკადემიურ საქმიანობაშია ჩართული, ჩვენს სტუდენტებს კი ამ უწყებაში სტაჟირების შესაძლებლობა ეძლევათ. ბატონი მინისტრის ვიზიტი საშუალებას მოგვცემს, თანამშრომლობის სხვა ფორმებიც განვავითაროთ“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

ბატონმა გრიგოლ ვაშაძემ დაწვრილებით მიმოიხილა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის წინაპირობები და განაცხადა, რომ ქართულ-რუსული ომის აგვისტოს ეპიზოდი საერთო კონტექსტიდან ამოგლეჯილი არ უნდა იყოს. „ჩვენ ისე ვლაპარაკობთ 7 აგვისტოზე და ხუთდღიან ომზე, გეგონება მანამდე რუსეთ-საქართველოს შორის აბსოლუტური ჰარმონია სუფევდა — თითქოს არსებობდა გეგმა, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო ამ კონფლიქტების ბედი, შემდეგ ვიღაცამ დაიწყო სროლა და ამით ეს ურთიერთობები დაინგრა. ბევრი თქვენთაგანი დამეთანხმება, რომ რუსეთის ფედერაციამ გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი საქართველოს წინააღმდეგ 1990 წელს დაიწყო. ამ პერიოდიდან ჩვენ ამ ომის უფრო სისხლიანი და ტრაგიკული ფურცლები გვქონდა, ვიდრე აგვისტოს პერიოდში. საკმარისია გავიხსენოთ 1992 წელი სამაჩაბლოში, ან 1993 წელი აფხაზეთში“, — განაცხადა მან.

სად არის აგვისტოს ომის ფესვები?

როგორც ბატონმა გრიგოლ ვაშაძემ აღნიშნა, ვითარების დაძაბვის მოლოდინი ჯერ კიდევ 2008 წლის 21 თებერვლიდან არსებობდა, რადგან მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრაზე ცხადი გახდა, რომ რუსეთი კოსოვოს გამო ევროპის „დასჯას“ აპირებდა.

მე-3 გვერდზე

სტუდენტური Press კლუბი

თსუ-ში რუმინეთის ოთახი გაიხსნა
მე-4 გვერდზე

სახალხო ბანკი თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების დასაქმება-სტაჟირებას იწყებს
მე-4 გვერდზე

კონფერენციაზე ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრეს
მე-5 გვერდზე

„ბიოგეოგრაფია“ არნოლდ გეგეჭკორის 35-ე წიგნია
მე-8 გვერდზე

„სამართლის ჟურნალის“ პრეზენტაცია თსუ-ში
მე-9 გვ.

თსუ-ის სტუდენტები წმინდა ასურელი მამების კვალდაკვალ
მე-10 გვერდზე.

თსუ-ში გალაკტიონობა აღინიშნა
მე-11 გვერდზე.

ბრძანება №100/02-01

05. 06. 2009

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თამბაქოს მოწევის აკრძალვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, „საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტების საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2009 წლის პირველი მაისის 49/01-01 ბრძანების მე-2 პუნქტის შესრულების უზრუნველსაყოფად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებული დანართით განსაზღვრული მარეგულირებელი წესი.
2. დაევალოს თსუ კანცელარიას (ნ. ოვსიანიკოვა) წინამდებარე ბრძანების გადაცემა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისთვის. ბრძანება საჯარო გაცნობისთვის გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და მოხდეს მისი ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.
3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი *რ. ხარბედია*

დამტკიცებულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
მ/შ 2009 წლის 5 ივნისის 100/02-01 ბრძანებით

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თამბაქოს მოწევის აკრძალვის მარეგულირებელი წესი

წინამდებარე წესი შემუშავებულია „საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილების, ამავე მუხლის მე-7 ნაწილის „ა'' და „ბ'' პუნქტების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2009 წლის პირველი მაისის 49/01-01 ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში თსუ) შენობა-ნაგებობებში აკრძალულია თამბაქოს მოწევა.

მუხლი 2. თსუ-ში დასაქმებული პერსონალი და სტუდენტები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ თსუ-ში თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებით დადგენილ წესს.

მუხლი 3. თსუ-ის პერსონალის მიერ წინამდებარე წესის დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობის შემდეგ სახეებს:
ა) გაფრთხილება;
ბ) ხელფასის დაქვითვა 15 ლარის ოდენობით (გაფრთხილებიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);
გ) ხელფასის დაქვითვა 35 ლარის ოდენობით (ხელფასის 15 ლარის ოდენობით დაქვითვიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);
დ) ხელფასის დაქვითვა 75 ლარის ოდენობით (ხელფასის 35 ლარის ოდენობით დაქვითვიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში;
ე) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა (ხელფასის 75 ლარის ოდენობით დაქვითვიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);

მუხლი 4. თსუ-ის სტუდენტების მიერ წინამდებარე წესის დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობის შემდეგ სახეებს:
ა) გაფრთხილება;
ბ) ჯარიმა 5 ლარის ოდენობით (გაფრთხილებიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);
გ) ჯარიმა 10 ლარის ოდენობით (5 ლარის ოდენობით ჯარიმის დაკისრებიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);
დ) ჯარიმა 50 ლარის ოდენობით (10 ლარის ოდენობით ჯარიმის დაკისრებიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);
ე) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა (50 ლარის ოდენობით სასტიკი საყვედურიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);

თანხის ამოღება განხორციელდება სტუდენტის სწავლის საფასურიდან დაქვითვის გზით. დავალიანების მქონე სტუდენტი არ დაიშვება კოლოქვიუმებზე, შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე, რაზეც კონტროლის განხორციელება ეკისრება ფაკულტეტებს.

მუხლი 5. დამრღვევის მიერ აღნიშნული წესის დარღვევის გამო შესაბამისი ორგანოს მხრიდან უნივერსიტეტის მიმართ საჯარიმო სანქციის გამოყენების შემთხვევაში, დამრღვევს დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რაც დაიქვითება მისი შრომის ანაზღაურებიდან ან სწავლის საფასურიდან ან სხვა ქონებიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. წინამდებარე წესის შესრულების უზრუნველყოფაზე კონტროლს ახორციელებს თსუ-ის მონიტორინგის დეპარტამენტი და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური, რომლებიც, თავის მხრივ, დარღვევის შემთხვევის გამოვლენისას, მოხსენებით ბარათს წარუდგენენ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისთვის.

გრიგოლ კიკნაძის მოღვაწეობის დევიზი:

„ჩვენი ეროვნული კულტურისა და ლიტერატურის მნიშვნელობაზე საზეიმო ლაპარაკი საქმემ უნდა გააძევოს!“

100 წელი შეუსრულდა ზეგარდმო მადლით მოსილ მეცნიერს, მოაზროვნეს, სულით ძლიერ პიროვნებას და ჭეშმარიტ მამულიშვილს — გრიგოლ კიკნაძეს. 1909 წლის 15 მარტს ხაშურში იმ დროისთვის წიგნიერებით გამორჩეულ კონსტანტინე კიკნაძისა და ალექსანდრა გუნცაძის ოჯახს მესამე შვილი შეემატა ბატონი გრიგოლის სახით. მშობლები ქართული ტრადიციისამებრ ღირსეულად ზრდიდნენ სამ შვილს: ერთ ქალსა და ორ ვაჟს, რომელთაგან უფროსი, გონიერებით გამორჩეული ახალგაზრდა კაცი — შალვა ავადსახსენებელ 37 წლის რეპრესიებმა შეიწირა. 3 წლის იყო გრიგოლ კიკნაძე, როცა მისი მამა, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირი, ცარიზმის ხელისუფლებამ როსტოვში გადაასახლა. მალე მთელი ოჯახი საცხოვრებლად როსტოვში გადავიდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ (1917 წ.) ბატონი გრიგოლი ხაშურში სწავლობდა, სადაც ასწავლიდნენ შესანიშნავი მასწავლებლები: ისტორიკოსი ილია ფერაძე (ვაჟა-ფშაველას შესახებ ჩინებული ნარკვევების ავტორი) და მისი ვაჟი — ირაკლი (ასევე ცნობილი პიროვნება); გაბრიელ გოგუაძე, რომელიც შემდეგ ახალგახსნილ უნივერსიტეტშიც მოიწვიეს ქართული ლიტერატურის კურსის წასაკითხად; ბესარიონ ძნელაძე, მარიამ ცაგურია... მოგვიანებით, ბატონი გრიგოლი ღირსეულ მოწაფეთათვის შესაფერისი მადლიერებით იხსენებს მათ ამაგს...

1925 წელს იგი თბილისის უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე შედის, სადაც ასწავლიდნენ ქართული ჰუმანიტარული აზროვნების დიდი წარმომადგენლები: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე, მიხეილ ზანდუკელი, არნოლდ ჩიქობავა და სხვა. 1929 წელს გრიგოლ კიკნაძე წარმატებით ამთავრებს უნივერსიტეტს, ოჯახდება და დიმიტრი უზნაძის ხელშეწყობით ფოთში ტექნიკუმის დირექტორად იწყებს მუშაობას, ხოლო მალე, კვლავ დიდი მასწავლებლის შუამდგომლობით, სამუშაოდ გადადის ბათუმში, საგანმანათლებლო სისტემაში, შემდეგ სათავეში უდგება დიმიტრი უზნაძის მიერ ბათუმში დაარსებულ პედაგოგიკურ ლაბორატორიას. 1937 წლიდან გრიგოლ კიკნაძე პედაგოგიკის ინსტიტუტშია. დისერტაციის დაცვისთანავე (1938 წ.) იგი მოღვაწეობას თბილისის უნივერსიტეტში იწყებს. ამ დროიდან კიდევ უფრო ინტენსიურად წარმართა გრიგოლ კიკნაძის მრავალმხრივი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა. ფაქტი ერთია — სადაც უნდა ყოფილიყო ფოთსა თუ ბათუმში, თბილისში ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, თეატრალურ ინსტიტუტსა თუ თბილისის უნივერსიტეტში იგი ადამიანებთან ურთიერთობაში ხალასი სიყვარულის ატმოსფეროს ქმნიდა და ჭეშმარიტ ინტელიგენტურ სულისკვეთებას ამკვიდრებდა.

ერთ ჭკვიან კაცს უთქვამს: — არიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ სიკვდილის შემდეგ იწყებენ ცხოვრებასო... გრიგოლ კიკნაძეს სრულფასოვანი ცხოვრება ჰქონდა. სიცოცხლეშიც გრძნობდა ახლობელი ადამიანებისგან დიდ სიყვარულს, მაგრამ გარდაცვალების შემდეგ საზოგადოებისთვის კიდევ უფრო ნათელი გახდა ამ ჭეშმარიტი მეცნიერისა და აღმზრდელის ღვაწლი. „დიდბუნებოვანი“, „ჩვენი მასწავლებელი“, „დისიდენტი“, „სიკეთის მსახური“ — ასე იხსენებდნენ გრიგოლ კიკნაძეს და ეს შეფასებანი მხოლოდ ნაწილობრივ თუ გამოხატავს იმ ადამიანთა უახლოეს სულიერ-ნათესაურ გრძნობას, ვისაც ადამიანურისა და ინტელექტის მნიშვნელობა ესმის. დღეს უკვე ბევრი ხედავს, რომ გრიგოლ კიკნაძის სახით ჩვენს ქვეყანას ჰყავდა დიდი ზნეობრივი და ინტელექტუალური ძალა, მაგრამ უმადურობა იქნებოდა, არ გაგვეხსენებინა ქართველი ინტელიგენციის უფროსი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც ცხოვრების კრიტიკულსა და უმძიმეს პერიოდში გრიგოლ კიკნაძეს გვერდით ედგა და რწმენას მატებდა. ესენია ჩვენი სახელოვანი ადამიანები: დიმიტრი უზნაძე, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე ჯანელიძე, მიხეილ ზანდუკელი, ნიკოლოზ ბერძენიშვილი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ჯანაშია, ვარლამ თოფურია, ილია აბულაძე და სხვა.

გრიგოლ კიკნაძის მიმართ ქართველი საზოგადოების ამ მოწინავე ნაწილის და ჩვენი თაობის ახალგაზრდობის დიდი სიმპათიები განსაზღვრა მის პიროვნებაში თავმოყრილმა მეცნიერისა და აღმზრდელისთვის აუცილებელმა თვისებებმა: ღრმა ერუდიციამ და ძლიერმა სინთეზურმა ნიჭმა, მორალურმა უმწიკვლობამ და ხასიათის შეუდრეკელობამ, მეცნიერულ გამბედაობასთან შერწყმულმა სიფრთხილემ, მამულიშვილობის დიდმა გრძნობამ, პედაგოგისთვის აუცილებელმა სათნოება-მომთხოვნელობამ, აზროვნებისა და შრომის უაღრესად მოწესრიგებულმა, დისციპლინირებულმა ხასიათმა. მეცნიერის სულიერი სიცოცხლე, პირველყოვლისა, წიგნით იზომება. ვაჟას ნათქვამი: „ძვირფასი მხოლოდ სული გვაქვს, სხვა ყველაფერი მჩვარია“, — იმაზე მიგვანიშნებს, რომ გრიგოლ კიკნაძესთან მიმართებაში, რაც მარადიული და დაუშლელია, ეს მისი სულიერი შვილები — ჩვენი ლიტერატურის მეცნიერების დამამშვენებელი წიგნებია.

სახელოვანი მეცნიერი, პროფესორი გრიგოლ კიკნაძე მრავალმხრივი ინტერესების პიროვნება გახლდათ. მართალია, მისი სამეცნიერო კვლევის ძირითადი ობიექტი ქართული მწერლობა იყო, მაგრამ, როგორც უაღრესად თანამედროვე, ევროპული ყაიდის მოაზროვნე, იგი ღრმად და საფუძვლიანად ფლობდა მოსაზღვრე დისციპლინათა (ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ესთეტიკა, სოციოლოგია, ფოლკლორისტიკა, პედაგოგიკა, ეთნოგრაფია...) მონაპოვარს, მხატვრული ფაქტის ანალიზის პროცესში, განგებისგან მომადლებული ანალიტიკურ-სინთეზური ნიჭის წყალობით, წარმატებით იმარჯვებდა ჰუმანიტარულ სფეროებში დაგროვილ სიახლეებს და საეტაპო მნიშვნელობის დაკვირვებებს გვთავაზობდა არა მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით, არამედ მხატვრულ მასალაზე დაყრდნობით. ამავე დროს, მას კორექტივი სხვა სფეროებშიც შეჰქონდა.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მისი ისეთი გამოკვლევები პედაგოგიკაში, როგორიცაა: „ბავშვის მეტყველების ზოგიერთი თავისებურება“ (1933 წ.), „ალექსანდრე ყაზბეგის სწავლება X კლასში“ (1939 წ.), „ორიოდე შენიშვნა ლიტერატურის სწავლების შესახებ“ (1971 წ.) და ა. შ.

მსოფლიო მასშტაბით აღიარებული განწყობის თეორიის ფუძემდებლის, პროფესორ დიმიტრი უზნაძის უნიჭიერესი მოწაფე გრიგოლ კიკნაძე, თავდაპირველად, პედაგოგიკაში მუშაობდა. აქედან მოვიდა იგი ლიტერატურათმცოდნეობაში და ამ დარგისადმი ინტერესი შემოქმედებითი ცხოვრების ბოლომდე არ განელებია. მას შემდეგ, რაც მეცნიერმა 1938 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ილია ჭავჭავაძე, როგორც ხელოვანი“ (დიდი ხნის შემდეგ დაიბეჭდა ილიას კრებული, I, 1998 წ.), ის კვლავ დაუბრუნდა პედაგოგიკის სფეროს და გამოაქვეყნა წიგნი: „ალექსანდრე ყაზბეგის სწავლება სკოლაში“ (1939 წ.). როგორც ირკვევა, დაახლოებით ამავე ხანებში, გრიგოლ კიკნაძემ შექმნა ვრცელი მონოგრაფიული ხასიათის გამოკვლევა — „ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მხატვრულ ნაწარმოებთა პედაგოგიური თვალსაზრისით შესწავლისათვის“ (დაიბეჭდა 1999 წელს, აკაკის კრებული I). აღნიშნული გამოკვლევა, ისევე როგორც ბატონი გრიგოლის სხვა წიგნები და სტატიები, უნიკალურია, როგორც ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების ფონზე პრობლემის დასმისა და მისი გადაჭრის თვალსაზრისით.

არა მხოლოდ ჩვენს სინამდვილეში, არამედ, საერთოდ უპრეცედენტო შემთხვევაა, რომ ხელოვანის მხატვრული შემოქმედების მიხედვით ეცადოს ვინმე ლიტერატურული ნაწარმოების გამიზნულობისა და პედაგოგიკურ-ეთიკური ტენდენციების ძირის პოვნას. ამ მხრივ, საყურადღებოა, გრიგოლ კიკნაძის კონცეპტუალური კვლევითი პოზიციის გავლენა პოპულარული და დიდი მწერლების — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მხატვრულ მემკვიდრეობაზე. მათ პედაგოგიკურ ნააზრევთა შესახებ მრავალი ნარკვევი, მონოგრაფია და სადისერტაციო შრომაა დაწერილი, მაგრამ გრიგოლ კიკნაძის გამოკვლევა იმითაც არის ღრმად ორიგინალური მოვლენა, რომ უშუალოდ ხელოვანის მხატვრული ხედვის წიაღში მოქცეულ და გაშლილ აზრს, მისი ემოციური დინების დინამიკას იკვლევს; აზრისა და ემოციის ერთიანობის ბუნებრივი პროცესისადმი ამდაგვარი მიდგომით აქ მკვლევარი მეცნიერული ძიების ახალ პერსპექტივებსაც სახავს მომავლის წინაშე.

გრიგოლ კიკნაძე ქართულ პედაგოგიკურ-ლიტერატურულ ცხოვრებაში პირველი მკვლევარია, რომელიც მეცნიერულ ბრუნვაში რთავს და კრიტიკული ანალიზის საგნად აქცევს ისეთ ავტორთა ნაშრომებს, როგორებიც არიან: სერჯი, ჰერბარტი, პაულსონი, ლევიტოვი, რიბო, უეპლსი, ჩასტერსი, ორესტ მილერი, ადლერი, ანენსკი და სხვა. ასევე, განიხილავს იმ დროისათვის (და განსაკუთრებით ახლა) ძნელად ხელმისაწვდომი პედაგოგიკური ხასიათის ჟურნალებს, სადაც მრავალი საგულისხმო სტატია და გამოკვლევაა დასტამბული... იმ შავბნელ ეპოქაში, როცა საბჭოთა იმპერიაში ჩახშული იყო მოწინავე ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, პედაგოგიკური და ლიტერატურული აზრის მიმოქცევა, როცა ხელისუფლება დევნიდა არა მხოლოდ თავისუფალ მოაზროვნე მეცნიერებს, არამედ აუქმებდა მეცნიერების ისეთ დარგებსაც კი, როგორიცაა პედოლოგია, სოციოლოგია და გენეტიკა, გრიგოლ კიკნაძემ მისთვის ჩვეული სიფრთხილითა და, ამავე დროს, გამბედაობით, დიდი ტაქტით, ღრმა ერუდიციაზე აგებული ორიგინალური მეთოდით მოახერხა კვლევის მანამდე უცნობი პრინციპების შემუშავება. მან აამოქმედა და მხატვრული მეტყველების სამყაროში განფენილი ესთეტიკური ფენომენისთვის მტკიცე ზნეობრივ-პედაგოგიური ხერხემალი მოიძია, რათა მკითხველისთვის კიდევ ერთხელ გაეხადა თვალსაჩინო მხატვრულ ქმნილებებში ჩამარხული ზნეობრივი ენერგიის პედაგოგიკური ღირებულება. ამით მკვლევარმა თვალნათლივ წარმოაჩინა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ერის ცნობიერების აღსაზრდელად, გარდასაქმნელად, მისი ღირებულებათა ორიენტაციების ჩამოსაყალიბებლად ლიტერატურული თხზულების უაღრესად ეფექტურად ზემოქმედების ძალა.

მე-6 გვერდზე

რუსეთ-საქართველოს ომის ფუნდამენტური მიზეზები

გრიგოლ ვაშაძე სადისკუსიო მაგიდასთან

პირველი გვერდიდან

„ამ პერიოდიდან დაწყებული, პროვოკაცია ყოველ კვირაში ჭადრაკის სვლასავით ხორციელდებოდა. ძალიან ძნელი იყო თავშეკავება, მაგრამ ჩვენ გვესმოდა, რა ტრაგიკული შედეგები შეიძლებოდა მოყოლოდა სიფრთხილის დაკარგვას“, — განაცხადა ბატონმა მინისტრმა.

მისი თქმით, პუტინთან შეხვედრის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება სხვადასხვა ქვეყნის ელჩებს სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას მოსალოდნელი ომის შესახებ და აფრთხილებდა, რომ თუ საერთაშორისო საზოგადოება სათანადო ზომებს არ მიიღებდა, ომი გარდაუვალი გახდებოდა. „როგორც მაშინ ძალიან ბევრმა მითხრა, ეგონათ, რომ ჩვენი სახით პატარა ბავშვი ყვიროდა „მგელიო“. ამ ომმა ევროპის და შეერთებული შტატების წარმოდგენა დღევანდელ სამყაროზე სრულიად შეარყია. მან მთელ მსოფლიოს დაანახა უშიშროების და სტაბილურობის არსებული სისტემის უძლურება, საერთაშორისო ორგანიზაციების აბსოლუტური იმპოტენცია და მსოფლიოს დაბრუნება XIX საუკუნის დასაწყისში – ვესტფალის ხელშეკრულებასთან, როცა ძალა განსაზღვრავდა მართალს და მტყუანს“, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ომის დღეებში საქართველომ თავდაცვისთვის მაქსიმუმი გააკეთა. მისი თქმით, რუსეთმა იმ დღეებში 80 ათასი ჯარისკაცი შემოიყვანა და 20 ათასიანმა კარგად გაწვრთნილმა ქართულმა არმიამ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. „დღესაც კი მიდის საუბარი იმაზე, აპირებდა თუ არა რუსეთი საქართველოს ადმინისტრაციული საზღვრების იქით ასე შორს შემოჭრას, მაგრამ მექმნება შთაბეჭდილება, რომ მათი შეიარაღება არ დაეტია შეზღუდულ ტერიტორიაზე — მათ 1100 ერთეულზე მეტი ტანკი და ტექნიკა შემოიყვანეს. საქართველოს თავზე 250-ზე მეტი ბომბდამშენი და გამანადგურებელი დაფრინავდა“, — განაცხადა მან.

მინისტრმა რუსეთ-საქართველოს ომის ფუნდამენტურ მიზეზად ამ ქვეყნის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის შეუგუებლობა დაასახელა და აღნიშნა, რომ ეს სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული: 1) სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით, რადგან ამ ქვეყანას ბიპოლარული შეუთანხმებლობა აქვს — ერთი მხრივ, ცივილიზებულ სამყაროსთან ყოფნა უნდა, მეორე მხრივ, თავის უახლოეს გეოგრაფიულ გარემოცვაში არც მეგობრები სურს და არც პარტნიორები — მარტო ვასალები ან მტრები სჭირდება. 2) საქართველო ძალიან ცუდ მაგალითს იძლევა. ის ექსპერიმენტი, რაც საქართველოში ტარდება და რასაც ჰქვია დემოკრატიული, ლიბერალური, ცივილიზებული სახელმწიფოს შექმნა, რუსეთისთვის საშინელი გამოწვევაა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის ცუდ მაგალითს წარმოადგენს. გრიგოლ ვაშაძის თქმით, რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება პოლიტიკური სპეცსამსახურების და ეკონომიკური ძალების სიმბიოზია, რომელსაც ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია დავარქვათ „კრემლის ბიზნესფირმა". „ამ ძალას არავითარი მორალური მოსაზრება არ გააჩნია. ის ხედავს, რომ რაღაცა, რასაც მისთვის მოგების მოტანა შეუძლია, ხელიდან ეცლება. მათთვის საქართველო არის იმ ბოთლის საცობი და ყელი, საიდანაც კასპიის ენერგომატარებლები გადმოედინება. ჩვენზე კონტროლი ნიშნავს, რომ აზერბაიჯანზეც აწესებს კონტროლს, საქართველოს კი გადააქცევს რუსეთის ონკანად, საიდანაც დარეგულირდება – რამდენი ენერგომატარებელი უნდა გავიდეს აქედან და სად“, — განაცხადა ბატონმა მინისტრმა.

გრიგოლ ვაშაძემ, ასევე, ხაზი გაუსვა რუსეთის დამოკიდებულებას საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართ და აღნიშნა, რომ ამაში ემოციური ფაქტორი დიდ როლს თამაშობს. „ეს ქვეყანა ჩვენ აღგვიქვამს, როგორც ხალხს, რომელსაც განსხვავებული მხოლოდ ენა აქვს. რუსეთისგან ჩვენი გამიჯვნა მათთვის ფსიქოლოგიურად იგივეს ნიშნავს, ნოვგოროდის ოლქმა რომ რუსეთისგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსი აიღოს. მათთვის ევროკავშირთან უშუალო მეზობლობაც კი მიუღებელია. ისეთი უწყინარი პროგრამაც კი, როგორიცაა აღმოსავლეთის პარტნიორობა, რუსეთში მიჩნეულია ახალ გეგმად, რომელმაც რკალი უნდა შემოარტყას მას მტრული მიზნების განსახორციელებლად. ამის მაგალითია ის, რომ ბელორუსის პრეზიდენტთან შეხვედრაზე პუტინი 40 წუთი ლაპარაკობდა და აღშფოთებას გამოთქვამდა ამ ქვეყნის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში გაწევრიანების გამო“, — განაცხადა მან.

წააგო თუ არა საქართველომ რუსეთთან ომი

ამ საკითხზე ბატონმა მინისტრმა ბრძანა, რომ თუ ომის წაგება რუსეთის მიერ ყველა გეგმის რეალიზაციას ნიშნავს, მაშინ საქართველოს ომი არ წაუგია, რადგან რუსეთმა ვერ მოახერხა მთავარი მიზნის შესრულება – ვერ დაამხო საქართველოს ხელისუფლება და ვერ შეუშალა ხელი ნატოს გაფართოებას. „რუსეთის ფედერაციის ყველაზე დიდი წარუმატებლობა იყო ის, რომ აგრესიის დროს მათ საქართველოში — ვერც პოლიტიკურ წრეებში და ვერც საზოგადოებაში, ერთი მოკავშირეც ვერ აღმოაჩინეს. ის კი არა და, პერსპექტივაშიც ვერ ნახეს ადამიანი, რომელიც მათი მოკავშირე გახდებოდა“, - განაცხადა მან.

რა პერსპექტივები გვაქვს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში? ჩვენ უნდა გადავდგათ რაღაც კონკრეტული ნაბიჯები თუ რამე სხვა გზა უნდა მოინახოს? — ამ საკითხებზე, ბატონი გრიგოლ ვაშაძის თქმით, საერთაშორისო ორგანიზაციებიც მუშაობენ და მათაც ესმით ამ ორი ქვეყნის მიზნების შეუთავსებლობა.

რა მიზნები აქვს რუსეთთან მიმართებაში საქართველოს

საქართველოს გეგმა გამჭვირვალე და ნათელია: უნდა შესრულდეს ცეცხლის შეწყვეტის გეგმა, მოხდეს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია, ბოლო რუსმა ჯარისკაცმა უნდა დატოვოს საქართველოს ტერიტორია, უნდა შემოვიდეს საერთაშორისო საპოლიციო ან საერთაშორისო სამშვიდობო ძალები, ღირსეულად და სრული უსაფრთხოებით დაბრუნდნენ დევნილები, მოხდეს ადამიანის უფლებების და კანონის სრული დაცვა, ეკონომიკური რეაბილიტაცია. ამის შემდეგ დაიწყება რუსეთთან სერიოზული მოლაპარაკება — საქართველოს სტატუსის განსაზღვრა საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

რუსული გეგმა ძალიან მარტივია — საქართველოს ტერიტორიაზე 5 ბაზის გახსნა, ამ ტერიტორიაზე 15 000-მდე ჯარისკაცის განლაგება და შემოთავაზება, რომელიც, მინისტრის თქმით, დაახლოებით ასე ჟღერს — „თქვენ უნდა ცნოთ ახალი რეალობა, ლეგიტიმაცია გაუკეთოთ ე.წ. სოხუმის და ცხინვალის ხელისუფლებას, ხელი მოაწეროთ მათთან ხელშეკრულებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ, გარანტია მისცეთ რუსეთს, რომ ნატო და ევროპის კავშირი საქართველოს მიმართულებით არ გაფართოვდება, დაბრუნდეთ დსთ-ში და ამის შემდეგ პარტნიორულად ითანამშრომლოთ რუსეთთან. ამას რუსეთი ერთ პატარა ფრაზაში ატევს – საქართველო უნდა გადაიქცეს რუსეთის პრივილეგირებული ინტერესების ზონად“, — ბრძანა გრიგოლ ვაშაძემ.

საუბარში გამოიკვეთა, რომ მიუხედავად რუსეთთან დაძაბული ურთიერთობისა და ამ ქვეყნის მიერ ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპირებისა, მაინც არის ერთი პატარა დადებითი ნიუანსი – ოკუპირებულ ტერიტორიებს აღარ ჰქვიათ კონფლიქტის ზონები, რუსულ საოკუპაციო ჯარებს აღარ ჰქვიათ მშვიდობისმყოფელები და რუსეთის ფედერაციას — მედიატორი. მას ჰქვია ის, რაც უნდა ერქვას – ოკუპანტი. და რაც მთავარია, დასავლეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დიდი ხნის ილუზიის შემდეგ პირველად დაინახეს, რომ საქმე აქვთ არაცივილიზებულ ქვეყანასთან, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროინდელი მეთოდებით უსწორდება გაცილებით უფრო პატარა და სუსტ მეზობლებს.

რისი გაკეთების საშუალება აქვს ქართულ დიპლომატიას ამ ფონზე

ამ კუთხით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სამ ძირითად ამოცანაზე გაამახვილა ყურადღება: 1) არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის ეროზია; 2) შევქმნათ ისეთი პირობები, რომელიც ქვეყნის 80 პროცენტს უსაფრთხოების გარანტიებს მისცემს განვითარებისა და აღმშენებლობისთვის. ის, რომ ჩვენ ენერგეტიკულად მოვწყდით რუსეთს, ის, რომ ჩვენი ეკონომიკა მტკივნეულად, მაგრამ მაინც მოწყდა რუსულს ბაზარს, პირველი გამარჯვებაა. 3) მაქსიმალურად უნდა დავუახლოვდეთ ევროპას, ევროატლანტიკურ და ევროპულ სტრუქტურებს.

„ომმა ის შედეგი გამოიღო, რომ ევროკავშირმა დაჩქარებულ ტემპში დაიწყო ჩვენთან მუშაობა. მოლაპარაკებები მიმდინარეობს გამარტივებულ სავიზო რეჟიმზე, უახლოეს მომავალში დაიწყება მოლაპარაკებები თავისუფალ ვაჭრობაზე და ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ ევროკავშირმა შემოგვთავაზა მოლაპარაკების დაწყება მასთან ასოცირებული წევრის ხელშეკრულების შესახებ. თუ ჩვენ ამ ამოცანას გადავჭრით წარმატებით, ევროკავშირთან მიმართებაში, დაახლოებით, იმ ადგილზე ვიქნებით, სადაც ხორვატია დგას“, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

მანვე ყურადღება გაამახვილა ნატოში გაწევრიანების პროცესზე და აღნიშნა, რომ მიუხედავად განცხადებებისა, რომლის მიხედვითაც ყურადღება მხოლოდ უსაფრთხოებას, ვაშინგტონის ხელშეკრულებას და ნატოს წესდების მეხუთე პუნქტს ექცევა, ცხადია, რომ რუსეთის ინტერესებს იქაც ითვალისწინებენ. ამ პროცესში მინისტრმა წინგადადგმულ ნაბიჯად შეაფასა ნატოსთან შინაარსობრივ დისკუსიაში გადასვლა, რაც, მისი აზრით, მაპ-ზე უკეთესი ვარიანტია. „აქვე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო საქართველო-შეერთებული შტატების ქარტიას. ამ ქარტიის შესახებ სკეპტიკური ხმები გაისმა, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ მალე შეიქმნება ორმხრივი კომისია, რომელიც ამ პრინციპების ჩამონათვალს სამოქმედო გეგმად გადააქცევს“, — აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

შეხვედრის დასასრულს დისკუსია გაიმართა. ბატონმა გრიგოლ ვაშაძემ უპასუხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კითხვებს, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომის დროს ტერიტორიების დაკარგვის მიზეზებს შეეხებოდა.

აკადემიკოსმა მარიკა ლორთქიფანიძემ ხაზი გაუსვა ევროპის დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ და აღნიშნა, რომ ის დადგენილებები, რასაც დღეს ევროპაში იღებენ, ჩვენთვის სასურველი არ არის, ამასთან არც რუსეთის საზოგადოებაა ჩვენს მიმართ ტოლერანტულად განწყობილი, რაზეც ბატონმა გრიგოლ ვაშაძემ უპასუხა, რომ თუ ამ ომიდან რაიმე დადებითი მივიღეთ, ისაა, რომ ქართველ და რუს ხალხს შორის მოხდა ცივილიზაციური განხეთქილება და ურთიერთობა ახალი ფურცლიდან უნდა დაიწყოს, რაც თანასწორობის პრინციპებზე იქნება დამყარებული.

„ჩვენ მოთმინება უნდა მოვიკრიბოთ და გადავწყვიტოთ ამოცანები, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებას და ქვეყნის განვითარებას შეეხება“, — განაცხადა შეხვედრის დასასრულს გრიგოლ ვაშაძემ.

მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველთა საყურადღებოდ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2009-2010 წლის სამაგისტრო პროგრამებზე მიღება გამოაცხადა.

მაია ტორაძე

გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მიღებული დებულებით, მაგისტრანტობის მსურველი აბარებს ერთიან სამაგისტრო გამოცდას, რომლის წარმატებით დაძლევის შემდეგ, მას საშუალება ეძლევა — აირჩიოს სასურველი უმაღლესი სასწავლებელი და სამაგისტრო პროგრამა და ჩააბაროს გამოცდა სპეციალობაში ამ უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით.

როგორც თსუ-ის სამაგისტრო ცენტრის უფროსი თეა იმედაძე აცხადებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებს, სხვა პროგრამებთან შედარებით, უპირატესობა აქვს, რაც იმაში გამოიხატება, რომ თსუ-ს ჰყავს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, გასცემს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღიარებულ დიპლომს, მაგისტრანტს აძლევს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის საშუალებას, გააჩნია დაფინანსების მოქნილი სისტემა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროგრამები, სტუდენტზე ორიენტირებული გარემო და კურსდამთავრებულს დასაქმების პერსპექტივას უქმნის.

უნივერსიტეტის მაგისტრანტი მოისმენს უცხოელი სპეციალისტებისა და დარგის ექსპერტების ლექციებს. მას, ასევე, ეძლევა საშუალება – უფასოდ განაგრძოს სწავლა თსუ-ის დოქტორანტურაში.

როგორც ქალბატონმა თეა იმედაძემ განაცხადა, მომავალი მაგისტრანტებისთვის საყურადღებო უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ თსუ-ის დიპლომი მსოფლიოს 102 ქვეყანაშია აღიარებული, რაც კურსდამთავრებულს გზას უხსნის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისკენ.

ერთიანი სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია 3 წლის განმავლობაში შეინახოს მიღებული ქულა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას მოპოვებული გრანტი არ ენახება. ამიტომ მათთვის საინტერესო და ხელსაყრელი უნდა იყოს უნივერსიტეტის დაფინანსების სისტემა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლის საფასური სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობას უტოლდება და წელიწადში 2250 ლარს შეადგენს. ამას ემატება საუნივერსიტეტო დაფინანსება და სტიპენდიები წარჩინებული მაგისტრანტებისთვის. ამასთან, ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, ერთიანი ეროვნული გამოცდებისგან განსხვავებით, სახელმწიფო დაფინანსება მხოლოდ 100 პროცენტის ოდენობით გაიცემა, საუნივერსიტეტო დაფინანსება კი მაღალი მაჩვენებლების მქონე სტუდენტებს სწავლების პირველ სემესტრში მიეცემათ საგამოცდო მაჩვენებლების მიხედვით, ხოლო დანარჩენ სემესტრებში — მაღალი მოსწრების მიხედვით. საუნივერსიტეტო დაფინანსების მოპოვებისთვის დამატებითი გამოცდა არ დაინიშნება.

ქალბატონი თეას თქმით, წელს უნივერსიტეტში უცხო ენის გამოცდა მოხსნილია. მას ჩააბარებენ მხოლოდ რამდენიმე სამაგისტრო პროგრამაზე მოხვედრის მსურველები. უცხო ენის ჩაბარებას ითხოვენ იურიდიული ფაკულტეტის, მედიცინის ფაკულტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რამდენიმე სამაგისტრო პროგრამასა და საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამებზე.

თსუ-ში რუმინეთის ოთახი გაიხსნა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუმინეთის ოთახი გაიხსნა. ახალი აუდიტორიის პრეზენტაციას რუმინეთის ელჩი საქართველოში დან მიჰაი ბარლიბა, თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ. უახლოეს მომავალში აუდიტორია წიგნებით, აუდიო-ვიდეო მასალებითა და ალბომებით აღიჭურვება, რომლის საშუალებით დაინტერესებულ სტუდენტებს რუმინეთის შესახებ ვრცელი ინფორმაციის მიღება შეეძლებათ.

ნატო ოგოლაძე

რუმინეთის ოთახი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში განთავსდა. აუდიტორია საქართველოში რუმინეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით გარემონტდა და აღიჭურვა. მომავალი სასწავლო წლიდან რუმინეთის ოთახში თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებს ლექციები ჩაუტარდებათ.

რუმინეთის ოთახი რუმინეთის ელჩმა საქართველოში დან მიჰაი ბარლიბამ გახსნა. დიპლომატმა ორ ქვეყანას შორის განათლების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებაზე და აკადემიური დიპლომატიის მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა. რუმინეთის აუდიტორიაში ლექციების გარდა ცნობილ ადამიანებთან, რუმინელ სტუმრებთანაც გაიმართება შეხვედრები. სტუდენტებს პერიოდულად საქართველოში რუმინეთის ელჩი დან მიჰაი ბარლიბაც შეხვდება და მათთვის საინტერესო კითხვებზე გასცემს პასუხს. გაიმართება დისკუსიები პოლიტიკურ და დიპლომატიურ საკითხებზეც, მათ შორის, რუმინეთისა და საქართველოს, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობების შესახებ, ასევე, საქართველოს ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის თემატიკაზე.

„რატომღაც არავინ ახსენებს აკადემიურ დიპლომატიას — ასეთი დიპლომატია კი არსებობს და მას სტუდენტები და პროფესორები ახორციელებენ. შევეცადე, რომ თსუ-ში რუმინეთის ოთახის გახსნით საქართველოში აკადემიური დიპლომატია დამეწყო. უნივერსიტეტისთვის ჩვენ შევიძინეთ ალბომები, აუდიო მასალები, წიგნები — ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია. ვფიქრობთ, რომ სტუდენტები დაინტერესდებიან რუმინული ენით და რუმინულისა და ლათინური ენების კავშირით, ამიტომ რუმინულენოვან წიგნებსაც გადმოგცემთ. ასევე, დარწმუნებული ვარ, რომ ბევრ ქართველ მწერალს აინტერესებს რუმინელი კოლეგების შემოქმედება. მე მათ წიგნებსაც შემოგთავაზებთ. ერთად ვეცადოთ, რომ ამ აუდიტორიაში „ჩავდოთ“ და „ვაჩვენოთ“ ჩვენი გამოცდილება. დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმისთვის გამოყოფილი თანხა სწორად იხარჯება და კარგ საქმეს ხმარდება.

გპირდებით, რომ აუცილებლად გეწვევით კიდევ და სტუდენტებს ვესაუბრები საინტერესო თემებზე — ეს იქნება რუსეთი, გუამი თუ კავკასიის საკითხები... ვეცდები, ვისაუბრო, როგორც არა მხოლოდ რუმინეთის ელჩმა საქართველოში, არამედ როგორც ჩვეულებრივმა რუმინელმა მოქალაქემ“, — განაცხადა რუმინეთის ელჩმა საქართველოში დან მიჰაი ბარლიბამ.

რუმინეთსა და საქართველოს შორის აკადემიურ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით არაერთი პროექტის განხორციელება იგეგმება. როგორც რუმინელმა დიპლომატმა თსუ-ში ახალი აუდიტორიის გახსნაზე განაცხადა, უახლოეს მომავალში იგეგმება სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლითი პროგრამების განხორციელება. დან მიჰაი ბარლიბა პირადად არის დაინტერესებული საქართველოსა და რუმინეთს შორის აკადემიური დიპლომატიის გააქტიურებით, რადგან მისი თქმით, მან თავისი კარიერა, სწორედ, უნივერსიტეტიდან დაიწყო.

რუმინეთის უნივერსიტეტებსა და თსუ-ის შორის გაცვლითი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, რუმინეთის საელჩო პროგრამებში მონაწილეებს ვიზების გაცემის პროცედურას გაუმარტივებს. დან მიჰაი ბარლიბა ამ მიზნით გარკვეული იურიდიული ფორმის შემუშავებასაც არ გამორიცხავს.

რუმინეთის ოთახის პრეზენტაციის დასასრულს რუმინეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორია მოკლედ მიმოიხილა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორმა ირაკლი ბრაჭულმა. მან ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობისა და ღვაწლის, ასევე რუმინეთის საუნივერსიტეტო ცხოვრების შესახებ ისაუბრა. „რუმინეთის საუნივერსიტეტო სივრცე აღმავლობის პროცესშია, ამიტომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობა რუმინულ უმაღლეს სასწავლებლებთან ჩვენი უნივერსიტეტის თანამედროვე სტანდარტებზე მორგებას შეუწყობს ხელს“, — აღნიშნა ირაკლი ბრაჭულმა.

სახალხო ბანკი თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების დასაქმება-სტაჟირებას იწყებს

სახალხო ბანკსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში სახალხო ბანკი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების სტაჟირება-დასაქმებას იწყებს. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III და IV კურსის სტუდენტები ამა წლის ზაფხულში, სამი კვირის განმავლობაში, თეორიულ სწავლებას და პრაქტიკას გაივლიან.

ნატო ოგოლაძე

სახალხო ბანკის პროექტში მონაწილეობას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები მიიღებენ, რომლებიც მაღალი რეიტინგით გამოირჩევიან. უკვე შერჩეულია 150-მდე ახალგაზრდა. ისინი თემაზე: — „საბანკო პროდუქტებისა და მათი გაყიდვის ტექნიკა“ ერთკვირიან თეორიულ და ორკვირიან პრაქტიკულ სწავლებას სახალხო ბანკის ოფისებსა და სერვისცენტრებში გაივლიან. პრაქტიკული კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში IV კურსის სტუდენტებს, რომელთა ზუსტი რაოდენობა ჯერჯერობით ცნობილი არ არის, სახალხო ბანკი ერთწლიან ხელშეკრულებას გაუფორმებს. მესამეკურსელებს კი მხოლოდ ორთვიანი მუშაობის საშუალება მიეცემათ, რადგან პროექტში ჩართვამ სტუდენტის სწავლის პროცესისგან მოწყვეტა არ გამოიწვიოს.

სახალხო ბანკის სტუდენტური პროექტის პრეზენტაცია 12 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში გაიმართა.

„პროექტი 2 ნაწილისგან შედგება და III – IV კურსდამთავრებულების სტაჟირება-დასაქმებას ითვალიწინებს. სტუდენტებს თეორიული სწავლება 1 ივლისიდან დაეწყებათ. ერთკვირიანი კურსის გავლის და ჩატარებული ტესტირების შედეგად ყველაზე მაღალი შედეგების მქონე ახალგაზრდები სახალხო ბანკში პრაქტიკულ სწავლებაზე გადაინაცვლებენ. ჩვენ სტუდენტებს ვასწავლით — თუ რა ხდება ბანკში, რეალურად ვაჩვენებთ — როგორ მიმდინარეობს მუშაობის პროცესი, შევახედებთ ბანკის „შიდა სამზარეულოში“. ისინი გამოცდილებას მიიღებენ კლიენტებისთვის საბანკო პროდუქტების შეთავაზება-გაყიდვის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით ყველა ბანკი სწორედ პროდუქტის გაყიდვაზე არის ორიენტირებული. სტუდენტებმა კონკრეტულად უნდა შეასრულონ კლიენტთან პირველი შემხვედრი პირის მოვალეობა ანუ გაყიდვების აგენტის ფუნქცია“, — აღნიშნა სტუდენტებთან შეხვედრისას სახალხო ბანკის პირდაპირი გაყიდვების დეპარტამენტის უფროსმა ნინო სურგულაძემ.

სახალხო ბანკის სტუდენტური პროექტის პრეზენტაციას თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ჯამლეტ ჯანჯღავა დაესწრო. მისი განცხადებით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე საკმაოდ დიდი შესაძლებლობების მქონე სტუდენტები სწავლობენ და სახალხო ბანკის პროექტი მათ ამ უნარის გამოვლენის საშუალებას მისცემს. „მჯერა, რომ ჩვენი სტუდენტები დიდ წარმატებას მიაღწევენ. საქართველოში არსებულ ბიზნეს-სექტორს, ბანკებს სჭირდებათ ნიჭიერი, მცოდნე, საქმის პორფესიონალი ახალგაზრდები და დარწმუნებული ვარ, რომ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების უმეტესობა შეძლებს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. პროექტში წარმატება იქნება ყველაზე დიდი პიარი, რაც შეიძლება ჩვენმა სტუდენტებმა საკუთარ თავს გაუკეთონ. ვისურვებდი, რომ თეორიული და პრაქტიკული კურსის დასრულების შემდეგ ბევრი მათგანი დასაქმდეს“, — აღნიშნა ჯამლეტ ჯანჯღავამ.

ის სტუდენტები, რომლებსაც სახალხო ბანკი ხელშეკრულებას არ გაუფორმებს, სპეციალურ სერტიფიკატებს მიიღებენ. რეგიონებში მცხოვრებ სტუდენტებს კი საშუალება ექნებათ — სტაჟირება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაიარონ. ცნობილია, რომ სახალხო ბანკს საქართველოს მასშტაბით 200 ფილიალი და სერვისცენტრი აქვს გახსნილი, რაც სტაჟიორებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

სახალხო ბანკის სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების პროექტი სტუდენტებმა დასაქმების რეალურ პერსპექტივად შეაფასეს, თუმცა ბაკალავრების ნაწილის აზრით, საქართველოში არსებული ეკონომიკური კრიზისის და სამუშაო ადგილების შემცირებების ფონზე პროექტი შესაძლოა მხოლოდ სტაჟირებით შემოიფარგლოს.

„ძალიან კარგი პროექტია და ვფიქრობ, რომ აქტიური მონაწილეობა ბევრმა სტუდენტმა უნდა მიიღოს, თუმცა არსებული ეკონომიკური კრიზისის გამო დასაქმება ნაკლებად რეალურად მიმაჩნია“, — გვითხრა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა დიანა მოდებაძემ.

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად პროექტში ჩართვის სურვილი უკვე შერჩეული სტუდენტების გარდა სხვა ბაკალავრებმაც გამოთქვეს, რის გამოც პროექტში მონაწილეების სია, შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს. 1 ივლისიდან კი ოფიციალურად დაიწყება პროექტის პირველი ეტაპი — სახალხო ბანკის თანამშრომლები თსუ-ის მაღლივ კორპუსში ლექციების ჩატარებას დაიწყებენ.

როგორ დავგეგმოთ მომავალი კარიერა?

12 ივნისს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატის ინიციატივით გაიმართა ლექცია-სემინარი თემაზე: „როგორ დავგეგმოთ მომავალი კარიერა?“

ლექციის მიზანი იყო სტუდენტებისთვის მომავალი კარიერული წინსვლისთვის სასარგებლო რეკომენდაციების გაწევა. აუდიტორიაში შეკრებილ სტუდენტებს მიესალმა პროფესორი, თამარ დოლბაია, გააცნო მათ ლექციის თემატიკა და წარადგინა კონსულტაციისა და მიმართვის ცენტრის კოორდინატორი, ქალბატონი ციური ანთაძე, რომელმაც განმარტა ის ძირითადი წინაპირობები, რაც მომავალში სტუდენტთა წარმატებულ კარიერას განაპირობებს.

როგორ ავიჩიოთ სასურველი პროფესია? — ამისთვის მთავარია ამ საკითხში კომპეტენტური პირების რჩევის გათვალისწინება, მაგრამ არ დაგავიწყდეს — ბოლო სიტყვა შენ გეკუთვნის! შენივე არჩევანი განაპირობებს შენს ცხოვრებაში მარცხისა თუ აღზევების პერიოდებს. ამიტომ მოემზადე შენს თავთან ობიექტური საუბრისთვის! დასვი კითხვები: მინდა? შემიძლია? საჭიროა? — ეს ის ძირითადი კითხვებია, რომლითაც შენ უკვე აკეთებ არჩევანს. პროფესიონალური მუშაობის ერთ-ერთი წინაპირობაა სამუშაოსადმი ინტერესი, ამიტომ დაფიქრდი, გინდა შენ აკეთო ის საქმე, რაც აირჩიე? და თუკი დადებითად უპასუხებ, გადადი შემდეგზე — რამდენად თანხვედრია შენი შესაძლებლობები არჩეულ პროფესიასთან მიმართებაში? და ბოლოს, განსაზღვრე შენი პროფესიის საჭიროება იმ საზოგადოებრივ სივრცეში, რომელშიც შენ მოგიწევს რეალიზაცია.

სანამ სამუშაოს ძებნას შეუდგებით, ობიექტურად შეაფასეთ თქვენი ძლიერი და სუსტი მხარეები. ჩამოყალიბდით, როგორი სამუშაო გინდათ და რისი შესრულება შეგიძლიათ? —ამ საკითხების გარდა შეხვედრაზე დამსწრე სტუდენტებს მიეცათ კონკრეტული რეკომენდაციები — ვის შეიძლება მიმართონ კონსულტაციისთვის? როგორ დაგეგმონ პირველი ნაბიჯები, ეფექტურად როგორ შეადგინონ რეზიუმე (cv) და სამოტივაციო წერილი (qover letter), რათა დასკვნით ეტაპზე წარმატებულად შესთავაზონ საკუთარი თავი დამსაქმებელს და მიიღონ შესაბამისი სტატუსი საზოგადოებრივ სამსახურში. თუკი უკვე მზად ხართ სამუშაოდ, თქვენ შეგიძლიათ რომელიმე შესაბამის ვებ გვერდზე მოძებნოთ სასურველი ვაკანსია ან მიმართოთ დასაქმების სააგენტოს, მათ შორის, ერთ-ერთია კონსულტაციისა და მიმართვის ცენტრი, — ითქვა სემინარზე.

ქალბატონი ციურის თქმით, იმ ფონზე, როცა საქართველოში დამსაქმებელი სააგენტოები თითქმის არ ფუნქციონირებს, მათი ცენტრი საკმაოდ წარმატებულად ახორციელებს ყველა ზემოთ აღნიშნულ პროცედურას და უზრუნველყოფს სხვადასხვა ვაკანსიაზე შესაბამისი კანდიდატურების დასაქმებას.

ყველა ამ საკითხებით დაინტერესებულ პირებს პასუხი და საკონტაქტო ინფორმაცია შეუძლიათ იხილონ ვებ-გვერდზე www.jcrc.ge.

კონფერენციაზე ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრეს

საზოგადოებაში ხშირად ჩნდება კითხვა, მაინც რით იმსახურებს საქართველო ამერიკის მაღალ ინტერესს? პასუხები არაერთგვაროვანი და ურთიერთგამომრიცხავია.

ამიტომ დღეს ძალიან აქტუალურია ქართულ-ამერიკული ურთიერთობების შესწავლა და სერიოზული ანალიზი, როგორც წმინდა აკადემიური, ასევე, პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. ამ საკითხებზე მუშაობა დიდ მნიშვნელობას იძენს, რადგან ყოველდღიურად იცვლება ქართულ-ამერიკული ურთიერთობების მასშტაბები. ქართულ საზოგადოებას დღეს ნამდვილად გვაკლია სერიოზული და კვალიფიციური ინფორმაცია ამ ქვეყნის შესახებ. თუ წინათ ამერიკაზე ინფორმაცია მწირი იყო, ახლა ეს ინფორმაცია იმდენად დიდია, რომ ამ საინფორმაციო ზღვაში ძნელია ნამდვილად სანდო ინფორმაციის საფუძველზე მეტ-ნაკლებად სწორი დასკვნების გაკეთება.

თამარ მარუაშვილი

ამერიკული დემოკრატიის გამოცდილების გაზიარებას ითვალისწინებს 28 – 30 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკის შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი X ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციის თემა იყო: „ამერიკული დემოკრატიის გამოცდილება“. კონფერენციაზე განიხილეს, აგრეთვე, ლათინური ამერიკისა და კანადის საკითხები.

კონფერენციის ტრადიციული სტუმარი გახლდათ ამერიკის ელჩი საქართველოში ბატონი ჯონ ტეფტი. კონფერენციას სტუმრობდნენ პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი ენ ნორტონი და საგანმანათლებლო პროგრამების მენეჯერი, IREX-საქართველოს დირექტორი კრის უოლტერსი.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს: ამერიკის ელჩმა საქართველოში ჯონ ტეფტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ, ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებმა. გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლები და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. კონფერენციაში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ასევე ამერიკელი მეცნიერები, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, დოქტორანტები, მაგისტრანტები და სტუდენტები. კონფერენციის ორგანიზატორები არიან ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციაა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრი.

„მოხარული ვარ, რომ ასეთი ღონისძიება ტარდება პირველ ქართულ უნივერსიტეტში. დიდი ხანი არ არის, რაც უნივერსიტეტში ამერიკის შესწავლის ცენტრი ჩამოყალიბდა, მაგრამ იგი ძალიან აქტიურად მუშაობს. ჩვენი სურვილია, კიდევ უფრო გაღრმავდეს და გაფართოვდეს ურთიერთობები ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, მეცნიერულ წრეებთან. უნივერსიტეტს დიდი სურვილი აქვს, სამომავლოდ ერთობლივი, ქართულ-ამერიკული, ძლიერი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი ჩამოყალიბდეს. ჩვენ, ამერიკის კვლევის მიმართულებით, ყოველთვის გვექნება მასალა და ეს საგანი ამოუწურავია. ამერიკა ჩვენი მეგობარი და პარტნიორი ქვეყანაა, მეგობრობა კი აუცილებლად გულისხმობს ერთმანეთის უკეთ გაცნობას. საუნივერსიტეტო ცენტრების ერთ-ერთი მისიაც სწორედ ის არის, რომ ქართულ-ამერიკული ურთიერთობები, რომელიც დღეს ძალიან თბილი და მეგობრული ხასიათით გამოირჩევა, მხოლოდ ემოციებისა და კეთილგანწყობის სიბრტყეზე არ ტრიალებდეს, მას გაცილებით მყარი, რაციონალური ფუნდამენტი უნდა ჰქონდეს. სწორედ ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტებმა უნდა განახორციელონ ის გარანტირებულად მყარი პარტნიორული ურთიერთობები, რომელიც ორ ქვეყნას შორის დამოკიდებულებას უფრო შინაარსიანსა და მტკიცეს გახდის.

ამერიკულ უნივერსიტეტებთან აქტიურად ვთანამშრომლობთ. ერთი თვის წინ მინესოტის უნივერსიტეტთან ერთად გადავწყვიტეთ ერთობლივი პროექტის განხორციელება, ვმუშაობთ სხვა მიმართულებითაც. იმედი გვაქვს, რომ ამერიკული უნივერსიტეტების მხრიდან კიდევ უფრო გაძლიერდება ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი და მზადყოფნა. მინდა მადლობა მოვახსენო აშშ-ის საელჩოს საქართველოში და პირადად აშშ-ის ელჩს, ბატონ ჯონ ტეფტს, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტის დიდი მეგობარი და ლობისტია. მადლობა მინდა ვუთხრა ამერიკელ კოლეგებს, ამერიკულ უნივერსიტეტებს, რომელიც ჩვენს სტუდენტებსა და პროფესურას საშუალებას აძლევენ — პროფესიული კვალიფიკაცია საზღვრებს გარეთ აიმაღლონ. კიდევ ერთხელ მინდა დავარწმუნო ჩვენი სტუმრები, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი გამორჩეული მისამართია ნაყოფიერი და წარმატებული თანამშრომლობისთვის. ამერიკასთან პარტნიორული ურთიერთობა პრიორიტეტულია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან თავისუფლების, კულტურის, პროგრესის ის სულისკვეთება, რომელიც ამერიკისთვის არის დამახასიათებელი, ჩვენთვისაც აქტუალურია. თავისუფლების იმპულსები, რომელიც ამ ქვეყნიდან მოდის, ჩვენთვის იმედის მომცემია და მისაღებიც“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა აშშ-ის ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი, რომელმაც ამერიკის შესწავლის საკითხებით დაინტერესებული ორგანიზაციების საქმიანობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ამერიკის ისტორია სავსეა პარადოქსებით. ამერიკა ის ქვეყანაა, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს ფულს და ფულის შოვნას. მაგრამ, საბოლოო ჯამში, უნდა ითქვას, რომ ჩვენ იდეალების ქვეყანა ვართ, რომელიც

აისახება ამერიკულ ოცნებაში, დამფუძნებელი მამების ნაშრომებში, ამერიკის კონსტიტუციაში, დამოუკიდებლობის დეკლარაციასა და პირველი შავკანიანი პრეზიდენტის ბარაკ ობამას არჩევაში. ამერიკა გახსნილი შესაძლებლობების ქვეყანაა. პრეზიდენტი ჯორჯ ბუში აღნიშნავდა, რომ ამერიკა შეკავშირებულია არა სისხლით, ან თუნდაც მიწითა და ისტორიით, არამედ იდეალებით, რომელიც თითოეული ადამიანის ინტერესებზე მაღლა დგას და რომელიც გვასწავლის ჩვენ, ამერიკელებს, ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეობას.

საქართველოს ახალი სახელმწიფოს ასაშენებლად პროფესიონალები სჭირდება. ყველაზე მეტად კი ისეთი მოქალაქეები, რომლებსაც გათვითცნობიერებული ექნებათ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა და აქტიურად ჩაერთვებიან ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში. ქართველებს შეუძლიათ ისარგებლონ იმ გამოცდილებით, რომელიც ამერიკას დასჭირდა ძლიერი დემოკრატიული ქვეყნის ასაშენებლად, ამერიკისგან ისწავლონ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ღირებულებები.

ამერიკის საელჩოს სახელით, გპირდებით, რომ ჩვენი საელჩო წვლილს შეიტანს ამერიკის შესწავლის გაძლიერებაში არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს მასშტაბითაც. ჩვენ დიდი სიამოვნებით მივესალმებით ქართველ მეცნიერებს, რომლებიც გეგმავენ პირველ საერთაშორისო ჟურნალის გამოშვებას, რომელიც ამერიკის შესწავლის საკითხებს მიეძღვნება.

გმადლობთ იმ ინტერესისთვის, რომელსაც იჩენთ ამერიკის შესწავლის საკითხებისადმი. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო თსუ-ის რექტორს, ბატონ გიორგი ხუბუას ამერიკის შესწავლის საკითხებით დაინტერესებული მეცნიერებისა და სტუდენტების მხარდაჭერისთვის, ასევე, ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციას ნაყოფიერი მუშაობისთვის“, — აღნიშნა აშშ-ის ელჩმა საქართველოში ჯონ ტეფტმა.

კონფერენციის მონაწილეებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელით მიესალმა ვაჟა ჩიტაია, რომელმაც აღნიშნა, რომ ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის უდავოდ დიდი ფუნქციური დატვირთვა აქვს მსგავსი კონფერენციების, სემინარებისა და შეხვედრების გამართვას.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მნიშვნელობაზე ისაუბრა საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ ლევან ნიჟარაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია არა მარტო ამგვარი ღონისძიებების არსის განსაზღვრა, არამედ მისი შედეგების პრაქტიკული საქმიანობის კუთხით გაცნობაც.

„მოგეხსენებათ, რომ საქართველო-ამერიკის ურთიერთობები გადადის ახალ ეტაპზე. წლის დასაწყისში ხელმოწერილია ქარტია სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ, რაც საშუალებას გვაძლევს — მომავალში ჩვენი ურთიერთობები კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე გადავიყვანოთ. იმისათვის, რომ ქარტია ორი ქვეყნის ახალ ფაზაში გადაყვანისათვის ქმედითი მექანიზმი გახდეს, საჭიროა მისი შევსება კონკრეტული პროექტებით სხვადასხვა მიმართულებებში. ამისთვის მნიშვნელოვანია მეცნიერების მუშაობა ამ კუთხით, რათა დავინახოთ ის ახალი მიმართულებები, რომელსაც შემდგომში კონკრეტულად გამოვიყენებთ.

იმედი გვაქვს თქვენი ნაყოფიერი მუშაობის. ჩვენ კი ყოველთვის მზად ვართ, გავიზიაროთ ქართველი მეცნიერების ნაფიქრი და ნამოღვაწარი“, — აღნიშნა ლევან ნიჟარაძემ.

ასეთი სახის კონფერენციების მნიშვნელობასა და შედეგებზე ისაუბრა კონფერენციების ერთ-ერთმა მთავარმა ორგანიზატორმა, ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტმა, თსუ-ის ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა ვასილ კაჭარავამ, რომელმაც თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა წინა კონფერენციებთან შედარებით მომხსენებელთა რაოდენობრივ და წარმოდგენილი ნაშრომების ხარისხობრივ ზრდას.

„თუ პირველ კონფერენციას მხოლოდ 10-15 მომხსენებელი ჰყავდა, დღეს მათი რიცხვი 150-მდე გაიზარდა. ჩვენი საქმიანობის მთავარი შედეგია ის, რომ მოვახდინეთ ამერიკის გარშემო არსებული აკადემიური ინტერესების კონცენტრაცია და, რაც მთავარია, შევძელით ქართული საზოგადოების ინტერესის უზრუნველყოფა ქართველი მეცნიერების თვალით დანახული ამერიკისა, აკადემიური და არა ზედაპირული ფორმით. ჩვენმა საქმიანობამ, ამ კუთხით, ნამდვილად გაამართლა“, — აღნიშნა ვასილ კაჭარავამ. მან დაწვრილებით ისაუბრა ამერიკაში დემოკრატიის განვითარების თავისებურებებზე, „ამერიკის შესწავლის ცენტრის“ მუშაობასა და დასახული მიზნების განხორციელების გზებზე, ამერიკის შესწავლის საკითხების ხუთივე კრებულის მნიშვნელობასა და აქტუალურობაზე, რომელიც აშშ-ის ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს მოიცავს. კრებულები გათვალისწინებულია ამერიკის შესწავლის საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტების, სტუდენტებისა და ფართო საზოგადოებისათვის. კრებულებში შესულია როგორც ქართველი, ისე ამერიკელი მეცნიერების საინტერესო და აქტუალურ თემებზე მომზადებული სტატიები.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, თსუ-ის ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი ელენე მეძმარიაშვილი და გამოთქვა სურვილი, რომ ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტებს ამერიკისმცოდნე დოქტორის ხარისხი მიენიჭოთ და არა ცალკე აღებული რომელიმე მიმართულების: ისტორიის, არქეოლოგიის და ა.შ. — ეს არ იქნება სწორი, რადგან ამერიკისმცოდნეობა ინტერდისციპლინარული დარგია.

ქალბატონმა ელენემ მოკლედ მიმოიხილა ამერიკის შესწავლის საკითხების V კრებულის ის თავისებურებები, რაც განასხვავებს მას წინამდებარე კრებულებისგან: „ეს კრებული იმითაც გამოირჩევა, რომ აქ ბევრი ამერიკელი მეცნიერის საინტერესო სტატიაა წარმოდგენილი. საამაყოა, რომ ჩვენთან სხვადასხვა წამყვანი უნივერსიტეტებიდან ბევრი ცნობილი ამერიკელი მეცნიერი თანამშრომლობს, რომლებიც ამ კრებულში სტატიებს ბეჭდავენ. VI კრებული გვინდა ორენოვანი გავაკეთოთ, ანუ ქართულ-ინგლისური, რათა ამერიკელ კოლეგებს საშუალება მიეცეთ ქართველი მეცნიერების ნაშრომებს უფრო საფუძვლიანად გაეცნონ.

მადლობა მინდა გადავუხადო ენ ნორტონს, რომელიც ჩვენი კონფერენციის მთავარი მომხსენებელი გახლავთ. ეს ტრადიცია თსუ-ში 2002 წლიდან დაიწყო. აქ, ყოველწლიურად, კონფერენციის მთავარ მომხსენებლებად ამერიკელი მეცნიერები ჩამოდიან. ამისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ აშშ-ის საელჩოს საქართველოში, რომელიც მათ ვიზიტებს აფინანსებს და ყოველთვის მხარში გვიდგას კონფერენციების ორგანიზებასა თუ კრებულების გამოცემის საქმეში“, — განაცხადა ელენე მეძმარიაშვილმა.

ამერიკისმცოდნეობის X ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია დაყოფილი იყო 13 სექციად, რომლის მუშაობაშიც 151 მომხსენებელი მონაწილეობდა. კონფერენციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომები ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავდა: პოლიტიკა (თავმჯდომარე: ქეთევან როსტიაშვილი), აშშ — საქართველო (თავმჯდომარე: ვასილ კაჭარავა), ქართველები ამერიკაში (თავმჯდომარე: ელენე მეძმარიაშვილი), განათლება, მეცნიერება (თავმჯდომარე: ირინა ბახტაძე), ხელოვნება (თავმჯდომარე: ეთერ ოკუჯავა), ლიტერატურა (თავმჯდომარე: ერეკლე ცხვედიანი, ლალა ჯოხაძე), ეკონომიკა (თავმჯდომარე: გიორგი შიხაშვილი), ქალთა და სოციალური საკითხები (თავმჯდომარე: ელენე მეძმარიაშვილი,), ჟურნალისტიკა (თავმჯდომარე: მარინე ვეკუა), რელიგია და ფილოსოფია (თავმჯდომარე: ანასტასია ზაქარიაძე), არქიტექტურა (თავმჯდომარე: მაია კაჭარავა), ამერიკული ღირებულებები (თავმჯდომარეები: ელენე მეძმარიაშვილი, ვასილ კაჭარავა), ამერიკული ინგლისურის თავისებურებები (თავმჯდომარე: მანანა მიქაძე).

კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები ქვეყნის განვითარების თითქმის ყველა ასპექტს მოიცავდა, რითაც მსმენელებს ზოგადი წარმოდგენა შეექმნათ ამერიკის პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, რელიგიის, ფასეულობებისა და ღირებულებების, ლიტერატურის, ხელოვნების განვითარების თავისებურებებსა და მიმდინარეობებზე.

თითოეულ სექციას 5 - 7 მომხსენებელი ჰყავდა.

მთავარი მომხსენებლები იყვნენ: პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი ენ ნორტონი („სწრაფვა დემოკრატიისაკენ“) და საგანმანათლებლო პროგრამების მენეჯერი კრის უოლტერსი („დემოკრატიის აღზრდა და კულტურათა ურთიერთგაგების ხელშეწყობა“), რომლებმაც საინტერესოდ ისაუბრეს ამერიკაში დემოკრატიული ინსტიტუტების, პროცესების განვითარებაზე, დემოკრატიის როლზე ქვეყნის წარმატების საქმეში.

აშშ-ის პოლიტიკის შესახებ საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტმა თორნიკე შურღულაიამ („აშშ-ის საგარეო დაზვერვის სპეციფიკა“), პოლიტოლოგიის დოქტორმა ქეთევან როსტიაშვილმა („აშშ და ახალი მსოფლიო გამოწვევები"), პროფესორმა ვაჟა კაკაბაძემ („ეკომომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები კავკასიის რეგიონში და აშშ-ის ადგილი კავკასიის ინტეგრაციულ პროცესებში“), თსუ-ის მაგისტრანტმა გვანცა სომხიაშვილმა („პირველი კამპანია ერაყის წინააღმდეგ: „ომი სპარსეთის ყურეში“), თსუ-ის დოქტორანტმა გიორგი კლდიაშვილმა („მოლაპარაკებები კუბის სარეკეტო კრიზისის გადამწყვეტ ეტაპზე“) და სხვებმა.

განვლილ პერიოდში გამართულ კონფერენციებზე ჩამოყალიბდა და აქტიური მუშაობა გააჩაღა ეკონომიკის სექციამ, რომლის მონაწილენი სისტემატურად გამოდიან ინიციატივით, რომ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად გაიმართოს კონფერენციები, სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარები და თემატური ლექციები ამერიკის ეკონომიკისა და ბიზნესის შესახებ, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოში აშშ-ის სამეურნეო-მმართველობითი გამოცდილების შესწავლა-გავრცელებისა და საზოგადოებაში მოწინავე ეკონომიკური აზროვნების დამკვიდრების საქმეში.

ეკონომიკურ თემაზე წარმოდგენილმა მოხსენებებმა მსმენელს გარკვეული წარმოდგენა შეუქმნა შეერთებული შტატების ეკონომიკური ცხოვრებისა და განვითარების ასპექტებზე, გლობალური ეკონომიკური კრიზისის მიზეზებსა და დაძლევის გზებზე (მალხაზ ჩიქობავა, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი), აშშ-ის მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე კრიზისის პერიოდში (ნაზირა კაკულია, თსუ-ის ასისტენტ პროფესორი), ევროკავშირი-ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აქტუალურ საკითხებზე (რამაზ ფუტკარაძე, თსუ-ის ასისტენტ პროფესორი), აშშ-ის ეკონომიკასა და ბიზნესზე (იოსებ მასურაშვილი, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი) და ეკონომიკის სხვა აქტუალურ საკითხებზე.

30 მაისს გაიმართა ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის ყრილობა, სადაც შეჯამდა ასოციაციის საქმინობა და კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იდეას ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის შექმნის აუცილობლობის შესახებ. დაისახა გზები საქართველოში ამერიკისმცოდნეობის გაფართოებისა და განვითარების პერსპექტივების რეალურად განხორციელების კუთხით.

გრიგოლ კიკნაძის მოღვაწეობის დევიზი:

„ჩვენი ეროვნული კულტურისა და ლიტერატურის მნიშვნელობაზე საზეიმო ლაპარაკი საქმემ უნდა გააძევოს!“

მე-3 გვერდიდან

საქმარისია გრიგოლ კიკნაძის სახისა და საუბრის გახსენება თუ წიგნებ-ის გადაკითხვა, რომ კვლავ დავიმუხტოთ მისი ზნეობრივ-ინტელექტუ-ალური მრწამსით, რაოდენ მძიმე ვითარებაშიც უნდა ვიყოთ, აღვიდგინოთ სულიერი წონასწორობა და განვიმტკიცოთ ჩვენი არსებობა გარემოში. როცა თავისი ღვაწლით ასეთ სიმაღლეს აღწევს ამ ქვეყნიდან წასული პიროვნება – მისი სულიერი სიცოცხლეც აქედან იწყება.

რამდენადაც ნაშრომის ავტორი თავის კვლევა-ძიებით პრაქტიკაში ჰუმანიტარულ დისციპლინათამონაპოვრის ინტეგრირებას მიმართავს, ამდენად, ბუნებრივია, ქართული სინამდვილის თვალსაზრისით, ის არა მარტო ძველი და ახალი დროის გონის მანათობელ ვარსკვლავთა სახელებისა თუ ნააზრევის რეკლამირებას ახდენს, არამედ მეცნიერულ პრაქტიკაში გზას უხსნის ახალი დროისთვის სპეციფიკურსა და აუცილებელ ერთგვარ ტერმინოლოგიურ ნოვაციებსაც.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მკითხველი ნაშრომის წაკითხვის შემდეგ იგრძნობს და გააცნობიერებს ჩვენი მომავლისთვის სასიკეთო ღირებულებას. მაგრამ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მაინც მეცნიერის წმინდა ლიტერატურათმცოდნეობითი მემკვიდრეობაა. მაინც როგორია მათი ანკეტური მონაცემები, ამ მხრივ ასეთ სურათთან გვაქვს საქმე: — საყოველთაო აღიარება ჰპოვა გრიგოლ კიკნაძის ფუნდამენტურმა მონოგრაფიამ „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“ (I გამოცემა 1953წ. 438 გვ. 11 გამოცემა 1972 წ. 451 გვ.). აღსანიშნავია, რომ მანამდე საქართველოში არა თუ ქართული სატირისა და იუმორის ჟანრობრივი განვითარება და სტრუქტურა, არამედ საერთოდ არც ერთი ლიტერატურული ჟანრი მონოგრაფიულად შესწავლილი არ ყოფილა. აქ განხილულია თეორიული საკითხები: სატირისა და იუმორის რაობა, სატირის გენეზისისა და ტიპიურობის საკითხები. გრიგოლ კიკნაძეს გარკვეული კორექტივები შეაქვს სატირისა და იუმორის ტრადიციულ გაგებასა და ტიპურობის ცნების დადგენაში. იგი წარმატებით უპირისპირდება ლიტერატურათმცოდნეობაში სატირის ძველბერძნული წარმომავლობის შესახებ განმტკიცებულ შეხედულებას. განსაკუთრებით ფასეულია მეცნიერის დაკვირვებები ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშებზე, ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესზე. წიგნში მდიდარი ლიტერატურული და პრესის მასალის ანალიზის საფუძველზე ნათელყოფილია XIX საუკუნის ქართველ მწერალთა: ა. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ასევე, გ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. წერეთლის, დ. კლდიაშვილის თხზულებათა სატირულ-იუმორისტული სპეციფიკა. გრიგოლ კიკნაძის წიგნი: „მეტყველების სტილის საკითხები“ (1957; 372 გვ.), სპეციალისტთა აზრით, ლიტერატურული შემოქმედების სფეროში წარმოადგენს დ. უზნაძის განწყობის თეორიის ძირითადი შინაარსის გათვალსაჩინოებას. მასში, პირველად, ქართულ სინამდვილეში კომპლექსურადაა შესწავლილი მეტყველების სფერო და, კერძოდ, მხატვრული მეტყველების სტილი. შესავალში მკვლევარი, ანტიკური დროიდან მოყოლებული დღემდე, სტილის რაობის საკითხებზე იძლევა ცნობილ ავტორთა კონცეფციების კრიტიკულ ანალიზს. წიგნის პირველ ნაწილში „მეტყველების ზოგიერთი ტენდენციის შესახებ“ დახასიათებულია არსებული სხვადასხვა სტილი (მაგ. რომანტიკული, რეალისტური და ა.შ.), ხოლო ფიქსირებული ფორმის გამეორებისა და დარღვევის შემთხვევა გრ. კიკნაძის მიერ კვალიფიცირებულია მეტყველებითი სინამდვილის, კერძოდ, მხატვრულ-მეცნიერული მეტყველების განმასაზღვრელ ტენდენციებად. აქ განვითარებულია შეხედულება, რომ მეტყველების პროცესში ადამიანი, მისი ყოველგვარი განზრახვისა და გაცნობიერების გარეშე, ფლობს ერთხელ გამოყენებული მეტყველების წყობის, აზრის, ფრაზის აგების, გამონათქვამის კონსტრუქციის, ლექსიკური მასალისა და ბგერითი შემადგენლობის ფიქსირებისა და უნებლიე გამეორების ტენდენციებს — ამ ზოგადთეორიული, ფსიქოლოგიური წანამძღვრების გათვალისწინებით წიგნში შესწავლილია ცალკეულ მწერალთა ინდივიდუალური მუშაობის მანერა და სტილი. გრ. კიკნაძის მიერ გაანალიზებულია ნ. ბარათაშვილის შემოქმედებითი პროცესის სტილური მხარე, რომანტიკულ და რეალისტურ სტილთა ურთიერთობის საკითხი, სადაც ი. ჭავჭავაძის მოსაზრებაზე დაყრდნობით ორიგინალურადაა გადაწყვეტილი XIX საუკუნის 60-იანი წლების ე.წ. თაობათა ურთიერთობა ქართულ ლიტერატურაში. აქვე ნაჩვენებია გოგოლისებური წერის მანერის გავლენის თავისებურება ქართველ მწერალთა მხატვრულ აზროვნებაზე, ვაჟა-ფშაველასა და დავით კლდიაშვილის პროზის სტრუქტურა, გ. ლეონიძის პოეტური სტილი და სტილური თავისებურების მიხედვით შესწავლილია ქართული ლირიკის განვითარების ერთი ასპექტი (ძველი მწერლობიდან მოყოლებული გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, გ. ტაბიძის და ა. კალანდაძის ჩათვლით). საყოველთაოდ ცნობილია, რომ გრ. კიკნაძემ ახალ და მაღალ საფეხურზე აიყვანა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების კვლევა. მის მონოგრაფიაში „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“ (1957 წ.) და გამოკვლევებში: „ვაჟას ფენომენი“, „ვაჟა-ფშაველა ზიგმუნდ ფროიდის წინააღმდეგ“ (1966 წ.), „ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“ (1975 წ.) გარკვეულია პატრიოტული გრძნობის გამოსახვის თავისებურება, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის, ვაჟას შემოქმედებითი მეთოდისა და მსოფლმხედველობის ურთულესი ლიტერატურულ-ფილოსოფიური პრობლემები, დახასიათებულია ხალხურ და მითოსურ მასალასთან ვაჟას მიმართება. მეცნიერულად გაანალიზებულია ვაჟას მხატვრული პროზა და დრამატურგია, წერის მანერა, გმირთა გამოხატვის ხერხები, შესწავლილია ვაჟა — როგორც ქართველ მწერალთა მემკვიდრე და წინაპარი. გრ. კიკნაძემ ორიგინალურად გააშუქა პოემის „გველისმჭამელი“ პრობლემატიკა და მხატვრული სტრუქტურა. გრ. კიკნაძის წიგნში „ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ (1978 წ.), ვაჟას შემოქმედებისადმი მიძღვნილ ნარკვევთა გარდა, თავმოყრილია გამოკვლევები:„ექვსი საუბარი ნ. ბარათაშვილის შესახებ“, „რომანტიკოსებიდან რეალისტებისაკენ“, „ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები“, „აკაკი წერეთლის პოლემიკური ლირიკა“, „მუდმივ ხატთა სისტემა აკაკი წერეთლის პოეზიაში“, „აკაკი წერეთლის პროზაულ თხზულებათა პოეტურობის საკითხი“, „ალ. ყაზბეგი“, „დავით კლდიაშვილი“ (შემოქმდებითი გზა), ლიტერატურულ-სოციოლოგიური ხასიათის ნარკვევი: „ხელოვნება და ყოფა“, კრიტიკულ-ლიტერატურული ანალიზი რეჟისორ თენგიზ აბულაძის ფილმისა „ვედრება“ და ნარკვევი: „ბუნების გრძნობა ა. პუშკინის ლირიკაში“.

აღნიშნულ წიგნებსა და გამოკვლევებში, ქართული ლიტერატურის კონკრეტული ანალიზი სრულიადაც არ ზღუდავს მკვლევარს, რომ სადღეისოდ მეტად მნიშვნელოვან თეორიულ პრობლემებსაც შეეხოს და, სწორედ კონკრეტული მასალის ბრწყინვალე ანალიზის წყალობით, მიღებული სიახლით, ახლებურად გადაწყვიტოს მრავალი თეორიული საკითხი. მეცნიერის კვლევა-ძიებითი პრაქტიკის თითოეული გამოკვლევა, საერთო მიზანდასახულებათა ფონზე, ადრე დაწყებული ძიების გაგრძელებას წარმოადგენს — ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ გრ. კიკნაძეს მყარი შემოქმედებითი ინტერესები გააჩნდა პრობლემებისადმი. ამ აზრით, ჩვენი ლიტერატურული სინამდვილის თვალსაზრისით, მისი ნაშრომები არის იმის თვალსაჩინო ნიმუში, თუ როგორ უნდა იკვლევდეს მხატვრულ ფენომენს ლიტერატორი. ამიტომაცაა, რომ გრ. კიკნაძის თითოეული გამოკვლევა საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომად ითვლება ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

გრ. კიკნაძის მსჯელობას, მშობლიური ლიტერატურის ამა თუ იმ საკითხზე, დიდი დამაჯერებლობა აქვს შეძენილი. მისი დაკვირვებანი არა მარტო ღრმა მეცნიერის თვალითა და გონებით არის დანახულ-გააზრებული, არამედ დიდი მამულიშვილის გულითაა ნაგრძნობ-განცდილი. გრ. კიკნაძე ერთი იმ მოღვაწეთაგანი იყო, რომელიც ვერ იტანდა „სიტყვით პატრიოტებს“, მისთვის „საქმე და მხოლოდ საქმე“ იყო წინამძღვარი ჭეშმარიტი პატრიოტიზმისა. გრ. კიკნაძის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის დევიზი სწორედ ის იყო, რომ ჩვენი ეროვნული კულტურისა და ლიტერატურის მნიშვნელობაზე საზეიმო ლაპარაკი საქმემ უნდა გააძევოს და თითოეულმა მეცნიერ-მუშაკმა იხელმძღვანელოს იმ აზრით, რომ დღემდე ძალიან ცოტაა გაკეთებული — ღირსი დიდ ქართველ მასწავლებელთა ნიჭისა და ამის შესაბამისად ეროვნული მნიშვნელობისა... ამიტომაც უყვარდა მას ვაჟას სიტყვების გახსენება: „არა მოგვცა რა ღამაზის, სიტყვებით ამაყობამაო“.

სწორედ საქმისადმი ინტერესით, შეუნელებელი პატრიოტული გრძნობით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ 6 ათეულ წელს მიახლოებულმა კაცმა ზურგჩანთამოკიდებულმა ფეხით მოიარა ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი, ფოტოებში მოაქცია ვაჟას ნაწარმოებებში დასახელებული ყველა სოფელი, ციხე, სალოცავი, უმრავლეს ამ ადგილთაგანი ახლა ნასახლარებადაა ქცეული და მხოლოდ ვაჟას დიდებული პოეზია თუ აგონებს მკითხველს, რომ ოდესღაც აქაც სიცოცხლე ჩქეფდა. დუღდა ქართველი კაცის ენერგია, აზრი და გრძნობა, მისი რაინდული სული...

ყოველ მედროვეს ეშინოდა გრიგოლ კიკნაძის შეუპოვრობის, მისი აზროვნების ორიგინალობისა... ცნობილია, რომ ორიგინალობა აღიზიანებს ბევრს და სიახლესაც ეჭვის თვალით უცქერიან ერთხანს. ლიტერატურული ცხოვრების ეს თითქმის კანონად ქცეული მოვლენა გრიგოლ კიკნაძის ცხოვრების მანძილზე მრავალგზის გამომჟღავნდა და ხანგრძლივადაც გაგრძელდა... 40-50-იან წლებში მან კამპანიური ხასიათი მიიღო. უნივერსიტეტში ბატონი გრიგოლის მასწავლებელი — ჩვენი სახელოვანი მწერალი კ. გამსახურდია ერთგან წერს: „ყოველი დროის ცილისმწამებლებმა კარგად იცოდნენ: თუ გინდა ადამიანი უზომოდ დასაჯო, მას ისეთი რამ უნდა დააბრალო, რის წინააღმდეგაც თავად იბრძოდა“. ასეთი ადამიანი, სამწუხაროდ, გრ. კიკნაძის გარშემო ბევრი აღმოჩნდა. ისინი საკუთარი უკეთური ბუნების გამომხატველ თვისებებს მიაწერდნენ მრავალ მოღვაწეს და მათ შორის გრ. კიკნაძესაც, რას არ სწამებდნენ მას: „ცრუმეცნიერობას“, წინამორბედთა მემკვიდრეობისადმი უპატივცემულობას და თვით საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ აზროვნებასაც კი, ამ კამპანიის მონაწილენი ის მოქალაქენი გახლდათ, რომლებმაც უფრო მეტად იმით გაითქვეს სახელი, რომ თავიანთი საჯარო გამოსვლებითა და პრესის საშუალებით აქტიური როლი შეასრულეს ჩვენ სახელოვან მწერალ-მოღვაწეთა დარბევასა და რეპრესირებაში...

გრიგოლ კიკნაძის ზნეობრივად მყარი ცხოვრების სტილს გაკვეთილის, მაგალითის მნიშვნელობა ჰქონდა სხვებისთვის, განსაკუთრებით მისი მოწაფეებისთვის, სტუდენტებისთვის... მაგრამ, ამავე დროს, სწორედ ამ თვისების გამო ჭირდა მასთან დაახლოება. თვითონაც ვაგლახად არავის დაუახლოვდებოდა და არც დაიახლოებდა, მაგრამ თუ დაუახლოვდებოდა, ეს სამუდამო იყო...

გრიგოლ კიკნაძე ერთგან აღნიშნავს, ამქვეყნად ყველაზე მეტად მასწავლებლობა მიზიდავდა და მიყვარდაო. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ იგი მოწაფეებზე ზრუნვით არ იღლებოდა და მათ გვერდით იდგა არა მხოლოდ მორალურ-ინტელექტუალურად... განსაკუთრებით შფოთავდა მაშინ, თუ ხედავდა, რომ მახლობელი ადამიანი, მოწაფე, ნიჭს, ბუნებისგან მომადლებულ ჯილდოს არ უფრთხილდებოდა: „ნიჭს მოვლა და მოფერება სჭირდება“, – იტყოდა იგი. თუმცა გამოსაფხიზლებლად მწარე სიტყვებსაც არ აკლებდა მათ. ზოგჯერ გაუნაწყენებია მას ზოგიერთი ასეთი მოპყრობით, მაგრამ გასულა დრო და ადამიანები მადლიერებით აღვსილან თავიანთი მოძღვარის მიმართ.

გრ. კიკნაძის ხელმძღვანელობით ინტელექტუალური და ზნეობრივი წრთობა გაიარეს თაობებმა არა მარტო ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე, სადაც მრავალი ათეული წლის მანძილზე მოღვაწეობდა, არამედ მან ახალგაზრდობის აღზრდის მეცნიერულ კერად აქცია, 1962 წელს, მისივე ინიციატივით დაარსებული ვაჟა-ფშაველას სამეცნიერო კაბინეტი. მან აქ, ძირითადად, ახალგაზრდობის ძალებზე დაყრდნობით, დიდი მეცნიერული მუშაობა გაშალა. უფროსი თაობის მეცნიერებთან ერთად აქტიურად შემოიკრიბა არა მხოლოდ ცნობილი მეცნიერები და ახალგაზრდა მკვლევარები, არამედ სტუდენტებიც. უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ამ კაბინეტში 12 წლის მანძილზე იმდენი გაკეთდა, რამდენსაც ერთი საკვლევი ინსტიტუტიც ვერ მოახერხებდა. გრ. კიკნაძე განსაკუთრებით დიდი სიყვარულით, ნდობითა და მოწიწებით ეპყრობოდა ახალგაზრდობას. ამას იგი, უპირველესად, საქმით გამოხატავდა. გრ. კიკნაძის ავტორიტეტის წყალობით საქართველოს სხვადასხვა კუთხის სტუდენტობა აქტიურად ჩაება ვაჟა-ფშაველას სალექსიკონო ფონდის შედგენაში. გამოიცა წიგნები: „ვაჟასეული ადგილები“ (1965 წ.), „ვაჟას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული“ (1966 წ.), „ვაჟა-ფშაველას ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“ (1967 წ.), „ვაჟა-ფშაველას მუდმივი სემინარის შრომების I ტომი“ (1970 წ.), „ვაჟას მცირე ლექსიკონი“ (1969 წ.), „ვაჟა-ფშაველას ბახტრიონი“(1972 წ.), „ვაჟა-ფშაველას 5 პოემა“ (1975 წ.). ასევე, ძირითადად, მისი თაოსნობით მომზადდა შრომების II ტომი, რომელიც 1982 წელს გამოიცა. მან ვაჟას კაბინეტი ახალგაზრდობის შემოქმედებითი უნარისა და შრომის მოყვარეობის გამოვლენის ასპარეზად აქცია. გრ. კიკნაძეს მტკიცედ სწამდა ახალგაზრდობის ნიჭის, სიბეჯითის, შემოქმედებითი უნარისა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ახალგაზრდობას ეკისრება მომავალი კვლევა-ძიების საპატიო ამოცანა“. სამწუხაროა, რომ სადღეისოდ გაურკვეველ მდგომარეობაშია ქართველ კლასიკოსთა სხვა კაბინეტებთან ერთად ვაჟა-ფშაველას კაბინეტის ბედი.

ახლა, როცა გარკვეული დროითი მანძილი ძევს გრ. კიკნაძესა და ჩვენს შორის, შეიძლება თამამად ითქვას, რომ გრ. კიკნაძემ შექმნა სკოლა, სკოლა იმ გაგებით, რომ გარკვეული თაობა მხატვრულ მოვლენათა ახსნისას გრიგოლ კიკნაძის ხედვას იმარჯვებს, ავლენს მასწავლებლის თვალსაზრისზე დამყარებულ მიდგომას მხატვრული პროცესებისადმი, რაც, ზოგჯერ, მათი წერის მანერასა და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ ქსოვილშიც პოულობს გამოხატულებას. უნდა ითქვას, რომ სკოლის თავისებურებაც სწორედ ეს გახლავთ: პოზიციის, კვლევის სტილის მსგავსება-ერთიანობა არის მეცნიერული და ლიტერატურული სკოლის არსებითი ნიშანი. ამიტომაცაა, რომ ბატონი გრიგოლ კიკნაძის აზროვნების წესი, დამოკიდებულება მოვლებისადმი, თვით მეტყველების ფორმებიც, თავის კვალს ტოვებს მწერალთა, ლიტერატორთა, ხელოვანთა, ჟურნალისტთა, ფილოსოფოსთა, რეჟისორთა იმ თაობაზე, რომელიც გრ. კიკნაძის მოწაფედ სახავს თავს. ეს არის სწორედ მასწავლებელ-მოწაფის ურთიერთობის უტყუარი საბუთი, წინამორბედთა მემკვიდრეობის გათავისების ბუნებრივი გზა, ანუ ჭეშმარიტი შემოქმედებითი გავლენის მაუწყებელი ფაქტი.

ანდრე მორუა ერთგან ალენის შესახებ ამბობს: „მკვდრები აღარ არიან მკვდრები, როცა ცოცხლები მათ მოწიწებით აცოცხლებენ... ჩვენ სიჭაბუკიდანვე ვიკვებებოდით ალენის აზრით. დადგა დღე, როცა ალენის აჩრდილი, ჩვენი აზრით, უნდა იკვებებოდეს... ის ყველა ჩვენგანში იმყოფება. სოკრატე არ მომკვდარა, იგი პლატონში იმყოფება, პლატონი არ მომკვდარა, იგი ალენში იმყოფება. ალენი არ მომკვდარა, იგი ჩვენში ცოცხლობს...“ ასევე შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბატონი გრიგოლი თავისი აზრებით, საქმითა და წიგნებით მისი ნიჭის ყველა პატივისმცემელთან იმყოფება. იგი სიკვდილის შემდეგაც კი განაგრძობს ახალ ცხოვრებას. საკმარისია გრიგოლ კიკნაძის სახისა და საუბრის გახსენება თუ წიგნების გადაკითხვა, რომ კვლავ დავიმუხტოთ მისი ზნეობრივ-ინტელექტუალური მრწამსით, რაოდენ მძიმე ვითარებაშიც უნდა ვიყოთ, აღვიდგინოთ სულიერი წონასწორობა და განვიმტკიცოთ ჩვენი არსებობა გარემოში. როცა თავისი ღვაწლით ასეთ სიმაღლეს აღწევს ამ ქვეყნიდან წასული პიროვნება — მისი სულიერი სიცოცხლეც აქედან იწყება.

თუ სწორია აზრი, რომ გმირი არის ის, ვინც იმას აკეთებს, რისი გაკეთებაც შეუძლია, სხვები კი ამას არ აკეთებენ (ა. მორუა), მაშინ თამამად შეიძლება ვუწოდოთ ბ-ნ გრიგოლს ეს სახელი, რადგან მან ტოტალიტარული რეჟიმის ხანაშიც რაინდულად შეძლო ეტარებინა მძიმე ჯვარი თავისუფლად მოაზროვნე მეცნიერისა და თაობათა მასწავლებლისა. ამიტომაც, გრიგოლ კიკნაძე დაბადებიდან 100 და გარდაცვალებიდან 35 წლისთავზე ზნეობრივ-ინტელექტუალური სიმაღლის მაგალითად რჩება მომავლის თვალში. სამერმისოდ, ამ აზრისა და განწყობილების გამაძლიერებელი ფაქტორი ისიც იქნება, თუ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ თავის დროზე დაწყებულ საქმეს — გრიგოლ კიკნაძის თხზულებათა ხუთტომეულის გამოქვეყნებას წინ არაფერი დაუდგება და დაჩქარდება დარჩენილი 2 ტომის გამოცემაც, რითაც ქართული ჰუმანიტარული აზროვნების ამ ერთ-ერთკოლორიტულ წარმომადგენელს ლამაზ ძეგლს ავუგებთ — ამით მომავლის საქართველოს მდიდარ სულიერ საუნჯეს მივაწვდით.

იუზა ევგენიძე
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

გრიგოლ კიკნაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა

„ყველა მეცნიერის ცხოვრების გზა გარეგნულად თითქოს მსგავსია: დაიბადა ამა და ამ წელს, დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ უმაღლესი სასწავლებელი, დაიცვა სამეცნიერო დისერტაცია, სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო ამა და ამ წელს და ა.შ. მაგრამ ამ ფაქტებს უკან დგანან ადამიანები, რომლებიც დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

გრიგოლ კიკნაძე, ამ მხრივ, განსაკუთრებით გამორჩეული პიროვნებაა. მთელი მისი ცხოვრება იყო ბრძოლა საკუთარი ზნეობრივი და მეცნიერული პრინციპების დამკვიდრებისათვის, რომლისთვისაც მას არასოდეს უღალატია“, — აღნიშნა პროფესორმა ჯუმბერ ჭუმბურიძემ უახლოესი მეგობრის და პედაგოგის გრიგოლ კიკნაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე.

შურთხია ბეროშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამი წლის წინათ დამკვიდრებული ტრადიცია — საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია უნივერსიტეტის გამოჩენილ მოღვაწეთა იუბილეს მიეძღვნას, წელსაც გაგრძელდა. 15 ივნისს უნივერსიტეტის VIII კორპუსის სააქტო დარბაზში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ვაჟა-ფშაველას

სამეცნიერო-სასწავლო კაბინეტის დამაარსებლის, გრიგოლ კიკნაძის სხოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება გაიმართა, ფოიეში კი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოგამოფენა მოეწყო. საიუბილეო სხდომას მისი ყოფილი მოსწავლეები, კოლეგები და ახლობლები დაესწრნენ.

საიუბილეო ღონისძიება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ გახსნა, რომელმაც აღნიშნა, რომ პირველი და მეორე საფაკულტეტო სამეცნიერო ღონისძიება აკაკი შანიძისა და შალვა ნუცუბიძის ხსოვნას მიეძღვნა, რომელთა ღირსეული შთამომავალია გრიგოლ კიკნაძე.

„გრიგოლ კიკნაძე იმ თაობის წარმომადგენელი იყო, რომელმაც ღირსეულად გააგრძელა პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელთა ტრადიციები და ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერთა ფუძისჩამყრელთა გზა, ამიტომაც მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, რომ მესამე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მისი საიუბილეო თარიღისთვის დაგვემთხვია. მისთვის საბედნიეროდ, დღესაც, გრიგოლ კიკნაძის სახელი ჩვენი ფაკულტეტის ყველა სტუდენტისთვის ცნობილია. მისი შრომები „ცოცხალი“ წიგნებია, რომლებიც თაროზე კი არ აწყვია, არამედ ჩვენი სტუდენტები მათ აქტიურად კითხულობენ“, — განაცხადა დარეჯან თვალთვაძემ.

მოწვეულ სტუმრებს, უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა მიესალმა და გრიგოლ კიკნაძის მეცნიერულ დამსახურებასა და მის მოქალაქეობრივ პოზიციაზე ისაუბრა.

„მისასალმებელია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დამკვიდრებული ტრადიცია. გრიგოლ კიკნაძის პიროვნება გამორჩეულია არა მარტო სამეცნიერო დამსახურების გამო, არამედ მისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარეც. ცნობილია, რომ იგი გამორჩეული იყო დისიდენტური აზროვნებით და ღირსეულად აგრძელებდა თავის წინამორბედ პედაგოგთა გზას, რომლითაც დღესაც ასე ამაყობს ჩვენი უნივერსიტეტი. ისტორიამ თავისი ადგილი მიუჩინა ამ დიდი პიროვნებების ნამოღვაწარს. გრიგოლ კიკნაძეს რთულ დროს მოუწია საკუთარი იდეების განხორციელება! ადვილი არ იყო იმ იდეოლოგიური წნეხის გაძლება, რომელშიც ის იყო მოქცეული. ჩვენი დღევანდელი შეხვედრა იმის დადასტურებაა, რომ გრიგოლ კიკნაძისა და მის წინამორბედთა ნამოღვაწარი დავიწყებული არ არის და არასოდეს მოხდება წყვეტა ძველსა და ახალ თაობას შორის. ჩვენ არასოდეს ვიქნებით უმადურები წინაპართა მიმართ და გავაგრძელებთ მათ მიერ დაწყებულ საქმეს. თუმცა ჩვენი ვალია, მხოლოდ მემკვიდრეობით კი არ ვიამაყოთ, არამედ, გავიაზროთ, თუ რამდენს გვავალდებულებს მათი სახელები. ამავე დროს, ჩვენი ხედვა უნდა იყოს მომავლისკენ მიმართული მათი აზროვნების სიმაღლეების შენარჩუნებით“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

ჯუმბერ ჭუმბურიძემ აღნიშნა, რომ მისი მეგობარი გრიგოლ კიკნაძე არაორდინალური პიროვნება იყო. „თავისი ცხოვრების წესით, მეცნიერული და პედაგოგიური ინტერესებით იგი მრავალთაგან გამოირჩეოდა და მან დიდი გავლენა მოახდინა ჩემი თაობის ადამიანებზე. გრიგოლ კიკნაძე არ ყოფილა აღჭურვილი სამეცნიერო რეგალიებით — სიცოცხლეში მისი საიუბილეო თარიღები არ აღუნიშნავთ. ბევრისგან განსხვავებით, რომლებმაც, ზოგმა დამსახურებულად, ზოგმა დაუმსახურებლად, ყოველგვარი ამქვეყნიური პატივი მოიხვეჭა, მას მხოლოდ საქმე აინტერესებდა და სწორედ „საქმემან მისმან გამოაჩინა“. იგი ზნეობრივად და გონებრივად წვრთნიდა ახალგაზრდებს, უხვად უნაწილებდა სითბოსა და სიყვარულს, უადვილებდა სამეცნიერო პრობლემებში გარკვევას, ამავე დროს, მკაცრიც იყო და უკომპრომისოც, მაგრამ სამართლიანი. პატიოსნება და პრინციპულობა გამოარჩევდა მას და ამასვე მოითხოვდა სხვებისგანაც“, — განაცხადა ჯუმბერ ჭუმბურიძემ.

მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრა პროფესორმა იუზა ევგენიძემ. მან საზოგადოებას შეახსენა, რა წინააღმდეგობების გადატანა უხდებოდა მეცნიერს საბჭოთა რეჟიმის პირობებში. ცნობილია, რომ 1938 წელს გრიგოლ კიკნაძემ დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1945 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“. გრიგოლ კიკნაძის ოპონენტებმა — აკადემიკოსებმა კორნელი კეკელიძემ და შალვა ნუცუბიძემ მაღალი შეფასება მისცეს ნაშრომს, თუმცა დაცვის პროცესი დრამატულად წარიმართა. მეცნიერს დაუპირისპირდნენ პარტიული მუშაკები, რომლებიც აბეზღებდნენ ხელისუფლებასთან, რომ ბურჟუაზიულ ავტორებს ეყრდნობაო. უნივერსიტეტის საბჭომ და მაშინდელმა რექტორმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე ჯანელიძემ ხელისუფლებას კიდევ ერთხელ დაუმტკიცა პრინციპულობა, როდესაც ერთად დადგნენ მეცნიერის დასაცავად — ამ შეუპოვრობისათვის ალექსანდრე ჯანელიძეს რექტორის თანამდებობის დატოვება მოუხდა.

გრიგოლ კიკნაძის შევიწროება და დევნა მომდევნო წლებშიც არ შეწყვეტილა. უნივერსიტეტიდან მისი გაშვებაც უნდოდათ, მაგრამ აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მხარდაჭერით ეს ვერ მოხერხდა.

გრიგოლ კიკნაძის ფუნდამენტური წიგნები: „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“, „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, „მეტყველების სტილის საკითხები“, „ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, „ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა“ და სხვა გამოკვლევები ქართული ლიტერატურისმცოდნეობის ოქროს ფონდშია შესული. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით მთავრდება გრიგოლ კიკნაძის თხზულებათა ხუთტომეულის გამოცემა (დაბეჭდილია სამი ტომი, იბეჭდება ორი ტომი).

1962 წელს გრიგოლ კიკნაძის ინიციატივით და უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის ევგენი ხარაძის ხელშეწყობით დაარსდა ვაჟა-ფშაველას სასწავლო-სამეცნიერო კაბინეტი. წლების მანძილზე კაბინეტში მომზადდა და გამოიცა არაერთი წიგნი, ფოტოალბომი ვაჟასეული ტექსტებით: „ვაჟასეული ადგილები“, ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული, „ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“, „ვაჟა-ფშაველას პოემა ბახტრიონი“, „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“, ვაჟას კრებულის ორი ტომი და სხვა.

„გრიგოლ კიკნაძე მოღვაწეობდა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში. ეს იყო ხანა, როდესაც ხელისუფლების ყველა მცდელობა მიმართული იყო პიროვნების ღირსების გასათელად. თითქმის შეუძლებელი იყო „ტალახისა და ჭუჭყის ღელვა – ტორტმანში“ მწერალს, მეცნიერს თავისი საქმე ისე გაეკეთებინა, რომ „არც ხელი და არც ფეხი არ გაესვარა“. ეს მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს და მათ შორის იყო გრიგოლ კიკნაძე. ეს მაშინ, როდესაც მას, ნიჭით გამორჩეულ პიროვნებას, მებრძოლი უმეცრების რიგებიდან მტრები უმრავლდებოდა, რომლებიც მზად იყვნენ მისი ფიზიკური განადგურებისთვისაც კი. იგი გაბედული იყო! ვაჟას პერიფრაზს თუ მოვიშველიებთ — მას მამაცურად აზრის ტარება ამშვენებდა. ახალგაზრდობას განსაკუთრებით ეს პიროვნული თვისება ხიბლავდა, იმ დროს ასე იშვიათი და დასაფასებელი. მას არასოდეს უთქვამს და არ დაუწერია ის, რასაც არ ფიქრობდა და არ გრძნობდა, მისი ყველა სტრიქონი წარუვალობის ნიშნითაა აღბეჭდილი. იგი უაღრესად უკომპრომისო და მონოლითური პიროვნება იყო. არც თუ ისე ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ბატონმა გრიგოლმა სრულად გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. მას უპირისპირდებოდნენ და ებრძოდნენ აკრძალული ხერხებით, მაგრამ მისი პოლემიკაში დამარცხება შეუძლებელი გახლდათ. გარემოებათა გამო ქედმოხრილი გრიგოლ კიკნაძე არავის ახსოვს, იგი ძლიერი პიროვნება იყო და ყოველთვის გამართული მიდიოდა დასახული მიზნისაკენ“, — ასე ახასიათებს გრიგოლ კიკნაძის პიროვნებას პროფესორი ლადო მინაშვილი.

საიუბილეო ღონისძიებაზე მეცნიერი გაიხსენეს: რევაზ სირაძემ, ნათელა ურუშაძემ, თემურ ჯაგოდნიშვილმა, ზურაბ ჭუმბურიძემ, გუჩა კვარაცხელიამ და სხვებმა. იუბილეზე დასასწრებად სტუმრად ჩამოვიდნენ მეცნიერის მშობლიური რაიონის — ხაშურის მცხოვრებნი. როგორც თავის გამოსვლაში ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელმა თამაზ ლაცაბიძემ აღნიშნა, უახლოეს მომავალში მეცნიერის იუბილეს ხაშურშიც აღნიშნავენ და ერთ-ერთ ქუჩას და იმ სკოლას, სადაც გრიგოლ კიკნაძე სწავლობდა, მისი სახელი მიენიჭება.

გრიგოლ კიკნაძის მოწაფეთა სახელით იუბილის მონაწილეებს პოეტი ემზარ კვიტაიშვილი მიესალმა: „ორმოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტი დავამთავრე. რეზო სირაძესთან ერთად ვუსმენდი გრიგოლ კიკნაძის ლექციებს. ამ გადასახედიდან, ჩემი თაობის სახელით, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ, ალბათ, ძალიან გულნაკლული ვიქნებოდით, გრიგოლ კიკნაძეს რომ არ შევხვედროდით. ჩვენი ურთიერთობა შემდეგაც გაგრძელდა. იგი ახალგაზრდებს ხშირად გვაგულიანებდა და გვეუბნებოდა: ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და ეს თქვენ უნდა გააკეთოთ“.

პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემაც თავისი თაობის განწყობილება გამოხატა: „ის იყო პიროვნება, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა იმ დროის სტუდენტებს შორის. ჩვენთვის საამაყო იყო მასთან ურთიერთობა. სემინარებს არ მიკითხავდა, მაგრამ ლექციების აქტიური მსმენელი ვიყავი. გრიგოლ კიკნაძეს, ჯერ კიდევ მაშინ, კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ განათლების სისტემაში ცვლილებები იყო განსახორციელებელი. ასპირანტი ვიყავი, როდესაც ბატონმა გრიგოლმა აბიტურიენტთა ნაწერების შესწავლა და დამუშავება დამავალა. დაახლოებით ორ თვეზე მეტი მოვანდომე აბიტურიენტთა ნამუშევრების კითხვას და უნდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილება დამრჩა. ბატონი გრიგოლი შეშფოთებული იყო იმ ფაქტით, რომ ათი წლის მანძილზე სხვადასხვა დროს დაწერილი აბიტურიენტთა ნამუშევრები ძალიან ჰგავდა ერთმანეთს და შორს იყო თავისუფალი ნააზრევისაგან. ჩვენ ხშირად ვმსჯელობდით გამოსავლის მოძებნაზე. ცოტა მოგვიანებით, როდესაც მე საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ვიყავი, მისგან მიღებული კონსულტაციები გავიზიარე. ბატონი გრიგოლის აზრით, აბიტურიენტებს თემები აუცილებლად უნდა დაეწერათ, მაგრამ ფორმა უნდა შეცვლილიყო. მაშინ შევეცადე, თემების სათაური შემეცვალა და ახალგაზრდებისთვის თავისუფალი აზროვნების საშუალება მიმეცა. გრიგოლ კიკნაძის წინაშე ვალში ვართ და ამ ვალს გადახდა უნდა“, — აღნიშნა ელგუჯა ხინთიბიძემ.

პროფესორმა რეზო სირაძემ კორნელი კეკელიძისა და გრიგოლ კიკნაძის ურთიერთობაზე ისაუბრა.

როგორც ღონისძიებაზე პარლამენტარმა, პროფესორმა თამაზ კვაჭანტირაძემ აღნიშნა, გრიგოლ კიკნაძე მისი თაობის სტუდენტებისთვისაც დიდი ავტორიტეტი იყო: „უმადური საქმეა მოგონებების სფერო, რადგან ამ დროს საკუთარ პიროვნებას გვერდს ვერ აუვლი, რაც, თავისთავად, ზოგჯერ საჩოთიროა მსმენელისთვისაც და მოსაუბრისთვისაც.

მე, სამწუხაროდ, გრიგოლ კიკნაძე ლექციებს არ მიკითხავდა, მაგრამ მის სემინარებს, როგორც ენთუზიასტი, ვესწრებოდი. როდესაც გესაუბრებოდა, რაღაც უხილავ ზეგავლენას ყველა ჩვენგანი განიცდიდა. მაგალითს ყოველთვის მისგან ვიღებდით.

როდესაც ჟურნალის „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ რედაქტორი გავხდი, ერთ ნომერში მოწინავე სტატია მის ხსოვნასაც მივუძღვენი — „მასწავლებელსა და მასწავლებელთა მასწავლებელს“. მასწავლებელი გახლდათ სიმონ სხირტლაძე, ხოლო მასწავლებელთა მასწავლებელი კი გრიგოლ კიკნაძე. ფოტო, სადაც იგი ცხენზეა ამხედრებული, ასე დავასათაურე: „ცხენდაცხენ შესდგომია დიდი ვაჟას ნაფეხურებს“ — ის აქ არც ტურისტია, არც სტუმარი... ის აქ მასპინძელია, იმიტომ რომ იცის, ვინ სად სახლობს, სად რომელი ხე დგას, სად რომელი ღოდი დევს.მინდა, მკითხველის თვალში ასე ცხენდაცხენ ამხედრებული დარჩეს გრიგოლ კიკნაძე, რომელიც რაც უფრო გვცილდება, მით უფრო გვიახლოვდება“.

პროფესორ რისმაგ გორდეზიანის თქმით, ნებისმიერი უნივერსიტეტის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად ითვლება ის, როდესაც მისი კურსდამთავრებულები სიამაყით გაიხსენებენ თავიანთ პედაგოგებს: „ჩვენს თაობას მართლაც გაუმართლა, რადგანაც იმ პერიოდში მოგვიწია სწავლა, როდესაც ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების კორიფეების უმეტესობა ცოცხალი იყო. იმ ვითარებაში ძალიან ძნელი იყო — ადამიანს მოენახა თავისი ადგილი და მათი ჩრდილიდან გამოსულიყო. შემიძლია სრული დარწმუნებით ვთქვა, რომ გრიგოლ კიკნაძემ ეს შეძლო და ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მათ გვერდით. დღევანდელი იუბილე არა მარტო ჩვენი სიყვარულის გამოხატულებაა დიდი მეცნიერის მიმართ, არამედ ღრმა საფუძველი, რათა ჩავფიქრდეთ, საით მიდის უნივერსიტეტი“.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამდღიანი საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ფილოლოგიის, ფილოსოფიის და ისტორიის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები.

„ბიოგეოგრაფია“ არნოლდ გეგეჭკორის 35-ე წიგნია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ 2008 წელს გამოსცა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის არნოლდ გეგეჭკორის სახელმძღვანელო „ბიოგეოგრაფია. დედამიწის ხმელეთის ბიომები“ (ნაწილი I).

წიგნი 40 წლის მანძილზე იწერებოდა. იგი გათვალისწინებულია ბიოლოგების, გეოგრაფების, პალეონტოლოგების და, ზოგადად, დედამიწისმცოდნეობით დაინტერესებული პირებისთვის, სტუდენტებისა და მაგისტრანტებისთვის.

მაია ტორაძე

ავტორის მიზანია ორგანული სამყაროს (ფლორის და ფაუნის) ფორმირების კანონზომიერებისა და ისტორიის ასახვა დედამიწის ბუნებრივი ზონების მიხედვით. წიგნი ეფუძნება სხვადასხვა მონოგრაფიისა და საჟურნალო სტატიის კრიტიკულ ანალიზს, ასევე ავტორის მიერ დედამიწის ყველა ბუნებრივ ზონასა და კონტინენტზე ჩატარებულ კვლევებსა და დაკვირვებებს.

წიგნი 3 თავისგან შედგება. პირველ თავში დახასიათებულია ბიოგეოგრაფიისა და დედამიწის ბიომებთან დაკავშირებული ზოგადი კანონზომიერებები, მეორე თავში — ხმელეთის ბიომები, მესამე თავი კი კავკასიის ბიომებს ეთმობა. სახელმძღვანელოს ახლავს მნიშვნელოვანი ტერმინების ჩამონათვალი, მიმოხილვითი კითხვები, სტუდენტებისთვის განკუთვნილი დავალებები და რეკომენდირებული ლიტერატურის ჩამონათვალი. წიგნი ილუსტრირებულია 850-ზე მეტი ფოტოგრაფიით, რომელთაგან დიდი ნაწილი ავტორის მიერ დედამიწის სხვადასხვა კონტინენტზეა გადაღებული.

რეცენზიაში, რომელიც ბილოგიურ მეცნიერებათა დოქტორებს გია ქაჯაიას და რევაზ გაგნიძეს ეკუთვნის, ნათქვამია: „წიგნის I თავი — „ბიომებთან დაკავშირებული დედამიწის ზოგადი კანონზომიერებანი“ — შეიცავს აუცილებელ ინფორმაციას მომდევნო თავების სწორად გაგებისათვის. აქ მოტანილია დედამიწის გეოგრაფიული გარსისა და ბიოსფეროს დახასიათება, აღწერილია თანასაზოგადოებათა სახეები, დედამიწის ზონალობის კანონები. აქვე განმარტებულია ბიოგეოგრაფიული ტერმინები — ფლორა, ფაუნა, ბიოტა, ბიომი და სხვა. სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ისტორიული და ეკოლოგიური ბიოგეოგრაფიის ანალიზს. ამავე თავში მოყვანილია ბიოგეოგრაფიის სრული ავტორისეული განმარტებაც. ზოგადი საკითხების განხილვისას ავტორი იშველიებს საკუთარ მონაცემებსაც. ისინი ეხება უხერხემლო ცხოველთა ერთ-ერთ ჯგუფს — ფსილოდეას, რომელსაც იგი წლების მანძილზე შეისწავლის მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. ბიოგეოგრაფიის ძირითადი ცნებებისა და ტერმინების დახასიათების შემდეგ ავტორს მოჰყავს მსოფლიოს ბიომების ვრცელი აღწერა“.

წიგნს ახლავს ბოლოთქმა, სადაც პროფესორ არნოლდ გეგეჭკორის საქმიანობის შეფასებაა მოცემული. ქალაქ გრეიფსვალდის (გერმანია) უნივერსიტეტის ბოტანიკისა და ლანდშაფტური ეკოლოგიის ფაკულტეტის დეკანი ჰანს ჯუსტენი ბატონი არნოლდის დამსახურებას კავკასიის რეგიონის შესწავლაში ასე აფასებს: „კავკასიის რეგიონზე თქვენმა უკიდეგანო, ამომწურავმა ინფორმაციამ გეოლოგიაში, ბიოლოგიაში, ისტორიაში, ეთნოლოგიასა და, განსაკუთრებით, ისტორიულ ბიოგეოგრაფიაში, გაამდიდრა ჩვენი ცოდნა მსოფლიოს ამ არაჩვეულებრივ კუთხეზე“. ამგვარი შეფასება მოულოდნელი არაა, რადგან არნოლდ გეგეჭკორის მრავალმხრივი ნიჭის შემფასებლები კარგად იცნობენ ამ ადამიანის დაუდგრომელ ბუნებას.

„ბიოგეოგრაფია“ არნოლდ გეგეჭკორის 35-ე წიგნია. ყველა მათგანი, ძირითადად, ავტორის მიერაა დასურათებული და იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ბატონი არნოლდი კარგად იცნობს მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის ბიომრავალფეროვნებას. იგი არის უბადლო ფოტოხელოვანი. გამოფენებზე, რომელიც ასახავდა საქართველოს ისტორიას, ბუნებას, არქიტექტურას და ეთნოგრაფიას, ბატონმა არნოლდმა 360-ზე მეტი ფოტონამუშევარი წარადგინა.

ჩვენთან საუბარში პროფესორმა არნოლდ გეგეჭკორმა აღნიშნა, რომ მისი მეცნიერული მოღვაწეობა და ფოტოხელოვნება ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული. ის წელიწადში 3-4 თვეს ბუნებაში ატარებდა და თავად აწარმოებდა დაკვირვებას თითქმის ყველა იმ პროცესზე, რომელიც შემდგომ მის სამეცნიერო ნაშრომებში აისახებოდა. მან ხუთივე კონტინენტზე საველე პირობებში დაახლოებით 80 000 კილომეტრი გაიარა. „ბიოგეოგრაფიის“ მთავარ ღირსებადაც ის მიაჩნია, რომ მასში დედამიწის ყველა კუთხისა და კონტინენტის ბიოლოგიური და გეოგრაფიული თავისებურებები საკუთარი დაკვირვებებით გაამდიდრა.

— ბატონო არნოლდ, რას ნიშნავს ტერმინი ბიოგეოგრაფია და რას მოიცავს იგი?

— ბიოგეოგრაფიაში რომ ჩახედული იყო, უნდა იცნობდე რამდენიმე მეცნიერებას: ბოტანიკას, ზოოლოგიას, გეოგრაფიას, ისტორიულ გეოგრაფიას, პალეონტოლოგიას, ევოლუციის თეორიას. იგი ინტერდისციპლინური დარგია და დიდი ცოდნა სჭირდება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერების ეს დარგი მე შემოვიტანე. საგანი – ბიოგეოგრაფია დედამიწისმცოდნეობას განეკუთვნება და 1990-1991 წლიდან იგი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტზე იკითხებოდა. შემდეგ, როცა ამ დარგს მსოფლიოში დიდი რეზონანსი მოჰყვა, ის ბიოლოგიის ფაკულტეტზეც გადმოვიტანეთ.

რომ მივხვდეთ, რას შეისწავლის ბიოგეოგრაფია, ერთ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან: ყველამ იცის, რომ ბაობაბის ერთი სახეობა აფრიკაში ხარობს, მისი 5 სახეობა კუნძულ მადაგასკარზე იზრდება, მაგრამ არის მეშვიდე სახეობა, რომელიც ავსტრალიაში გვხვდება. ცხადია, ისმის კითხვა – რამ გაწყვიტა ეს არეალი? ეს არის ბიოგეოგრაფიის კვლევის საგანი. ამ კითხვაზე რომ პასუხი გასცე, უნდა იცოდე გეოგრაფია, ეკოლოგია, ისტორიული ბიოგეოგრაფია. ამ მეცნიერებების დახმარებით დაადგენ, რომ ერთ დროს ყველა ეს სახეობა ერთად ხარობდა, შემდეგ კონტინენტები დაიყო და მოხვდნენ სხვადასხვა არეალში. მაკროდიზუმფცია გვიჩვენებს, თუ როგორი იყო დედამიწა წარსულში. ცნობილია, რომ ხმელეთი ფიქსირებული არ არის. დედამიწის ქერქში ის ჰორიზონტალურად მოძრაობს და კონტინენტები ისე გადაადგილდება, როგორც აისბერგი — წყალში. თუ ჩვენ ახლა დაახლოებით 6 სანტიმეტრით გადავაადგილდებით, 50 მილიონი წლის მერე სად იქნება ეს ტერიტორია, არავინ იცის, ეს აბსოლუტური ალბათობაა. სწორედ ასეთი პროცესი წარიმართა მილიონობით წლების განმავლობაში დედამიწაზე — კონტინენტების დღევანდელმა განლაგებამ გარკვეული სახეობების ზრდის არეალი გახლიჩა.

— როგორც ვიცით, ამ წიგნის დაწერას 40 წელი მოანდომეთ...

— დიახ, ასეა. მასში ძალიან დიდი შრომაა ჩადებული. გადაწერაზე ადვილი არაფერი არაა. ერთი და ორი წიგნის ავტორი არ გახლავართ. სამი სხვადასხვა პრემია მაქვს მიღებული სხვადასხვა გამოცემაში, რაც იმის დასტურია, რომ სწორად ავირჩიე პრინციპი – თუ ამომწურავი არაა ინფორმაცია, წიგნის დაბეჭდვას ვერ გავბედავ. ამ საგანს 20 წელია ვასწავლი. არსებობდა ცნობილი ბიოგეოგრაფის – ვორონოვის წიგნი, გადმოვთარგმნიდი, დავამატებდი რამდენიმე კვლევას და შევქმნიდი სახელმძღვანელოს, მაგრამ სანამ ხუთ კონტინენტზე ჩემი თვალით არ ვნახე ყველაფერი, მანამ სახელმძღვანელო არ გამოვეცი. დედამიწის ზურგზე არ არის მნიშვნელოვანი გეოლოგიური ძეგლი, სადაც არ ვყოფილვარ და არ მინახავს.

ახლაც მიწვეული ვარ გერმანიაში, გრეიფსვალდის უნივერსიტეტში, სადაც უნდა წავიკითხო ლექციები და გამოვცე წიგნი, რომელიც ფართოდ და ვრცლად მიმოიხილავს კავკასიის ბიომებს, რომელსაც „ბიოგეოგრაფიაში“ ბოლო თავი აქვს დათმობილი და შედარებით მოკლეა. ეს უკვე მერვე უნივერსიტეტია, სადაც ლექციების წასაკითხად მიწვევენ. მათ შორისაა ავსტრალიის (მელბურნში — მონაშის უნივერსიტეტი, სიდნეიში – ახალი უელსის უნივერსიტეტი), ახალი ზელანდიის (ოკლენდის უნივერსიტეტი), აფრიკის (კენიაში — ნაირობის უნივერსიტეტი), აშშ-ის (ჯორჯიის შტატის ატლანტის უნივერსიტეტი), ასევე ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტები.

სექტემბერში დაგეგმილია საერთაშორისო კონგრესი, რომელზეც უნდა დაიდოს ჩემი წიგნები, მათ შორის ისიც, რომელიც ახლა გამოვა.

— ცალკე საუბრის თემაა თქვენი მოგზაურობები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. რომელმა კონტინენტმა მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

— ავსტრალიაში კუთხე-კუნჭული არ არის დარჩენილი, რომ არ მენახოს. ვიმუშავე ყველა შტატში ტასმანიის ჩათვლით, ასევე კუნძულებზე – ბალი, ლომბოკი, ფიჯი, კალედონია, ტაიტი, სოლომონის კუნძულები, ვიმოგზაურე აფრიკაში – ტანზანია, კენია, უგანდა, ლუანდა, მადაგასკარი, ასევე, აშშ-ში, მექსიკასა და ეკვადორში...

გასახსენებლად ღირს ტანზანიაში, ნგორონგოროს კრატერის მახლობლად მობინადრე მასაის ტომელებთან ჩემი ცხოვრება. წარმოიდგინეთ, მიგიღო ტომმა, რომელიც სადილზე მიირთმევს თეთრ მატლებს, კენგურუსა და ხვლიკ ვარანის ხორცს, სვამს ხარის სისხლისა და რძისგან დამზადებულ სასმელს – გათხის. თუ შენ ტომის ბელადი გეპატიჟება და მასთან ერთად სადილად ჯდები, მათსავით უნდა მოიქცე, თუ გინდა, რომ ნდობა მოიპოვო. ესეც გამიკეთებია... სამეცნიერო კვლევას და დაკვირვებას ასეთი რამ მუდამ თან ახლავს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა ამჯერად არნოლდ გეგეჭკორის ოთხტომეულის გამოცემას გეგმავს. როგორც ბატონი არნოლდი ამბობს, ეს იქნება „საზღაპრეთი“, რადგან მასში თავს მოიყრის ბუნების საოცრებები და ფოტოები, რომელიც, რა თქმა უნდა, ავტორის მიერ დანახულ სამყაროს გაგვაცნობს...

სასწავლო-საველე პრაქტიკა აჭარის რეგიონში

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობის პროცესი განუყოფელია, ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტთა დამოუკიდებელი კვლევისა და ლოგიკური, ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. სწორედ ამ მიზნით დაიგეგმა ფიზიკური გეოგრაფიის, ნიადაგური რესურსების და გარემოს დაცვის მიმართულების III კურსის სტუდენტთა სასწავლო-საველე პრაქტიკა აჭარის რეგიონში, თემატიკით — „ბუნებათსარგებლობა და გარემოს დაცვა“. პრაქტიკის ხელმძღვანელები იყვნენ: ასოცირებული პროფესორი ე. დავითაია და ასისტენტ-პროფესორი თ. ალექსიძე.

თამარ მარუაშვილი

სტუდენტებმა საკუთარი თვალით ნახეს და აღიქვეს საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის ბუნების ცალკეული კომპონენტებისა და კომპლექსების ეგზოტიკურობა და უნიკალურობა, მათი სივრცითი განაწილების კანონზომიერება.

სტუდენტებმა სასწავლო-საველე პრაქტიკაზე მოიპოვეს მასალები აჭარის ბუნებრივ-

სარესურსო და ტურისტული პოტენციალის განმსაზღვრელი ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების, ტოპონიმიის, ასევე, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის ბუნებაზე დამოკიდებულებისა და დაცული ტერიტორიების შესახებ, გაეცვნენ აჭარის ბუნებრივი გარემოს თანამედროვე ეკოლოგიურ სიტუაციას.

„სტუდენტის პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელება. ჩვენ მიმართულებაზე ვასწავლით რეგიონების ბუნებას, მდებარეობას, კლიმატს, ნიადაგებს, მცენარეულ საფარს, ცხოველთა სამყაროს — ამ კომპონენტების შერწყმის შედეგად მიღებულ ბუნებრივ კომპლექსებს, ლანდშაფტებს, ასევე, გარემოს დაცვის საკითხებს. მაგრამ სასურველია, სტუდენტმა საკუთარი თვალით ნახოს ეს ყველაფერი. სწორედ ამას ემსახურება სასწავლო-საველე პრაქტიკა. ეს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს თეორიული საკითხების უკეთ შეცნობასა და განმტკიცებას.

სტუდენტები ყოველი წლის ზაფხულში გაგვყავს სასწავლო-საველე პრაქტიკებზე, ხოლო სექტემბერში ისინი ჩატარებულ კვლევებს წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ წელს, პირველად, სტუდენტებმა საველე მასალებისა და ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, კვლევების ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე წარმოდგენილი ნაშრომები კრებულის სახით გამოსცეს.

ნებისმიერი რეგიონის ბუნების თავისებურებების შესწავლა თეორიულ ცოდნასთან ერთად საველე კვლევებსაც საჭიროებს. ყოველ საველე კვლევას სათანადო პროგრამა გააჩნია. იგი მიზნად ისახავს საჭირო ხელსაწყოების შერჩევას, კარტოგრაფიული და აეროკოსმოსური მასალების დამუშავებას, ლიტერატურული წყაროების გაცნობას და ა.შ. სწორედ ასეთი მუშაობა მისცემს სტუდენტს საშუალებას — რეალური წარმოდგენა იქონიოს რეგიონის ბუნების კომპლექსურ თავისებურებაზე, ბუნების თითოეული კომპონენტის (რელიეფი, მდინარეები, წყალსატევები, ორგანული სამყარო და ა.შ.) სივრცობრივ განლაგებასა და არსებულ ეკოლოგიურ სიტუაციაზე. ამის შემდეგ კი ისინი შეძლებენ დასახონ ღონისძიებები ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

ანალოგიური საველე-საწარმოო პრაქტიკა მომდინარე წლის ზაფხულში კახეთის რეგიონში დაიგეგმა. ამ მხრივ სტუდენტების მხრიდან დიდი დაინტერესებაა. სტიმულის მიმცემია ისიც, რომ მათ უკვე შეუძლიათ საკუთარი კვლევების შედეგები კრებულის სახით გამოსცენ და გააცნონ სამეცნიერო საზოგადოებას“, — აღნიშნა პროფესორმა ზურაბ სეფერთელაძემ.

ველად მოპოვებული მასალებისა და ლიტერატურული წყაროების ანალიზის საფუძველზე სტუდენტებს ჩამოუყალიბდათ საკუთარი მოსაზრებები აჭარის ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის შესახებ, რაც წარმოდგენილია კრებულში საკონფერენციო მასალების სახით.

„აჭარის შავიზღვისპირეთის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის განმსაზღვრელი ბუნებრივი ფაქტორები“ (თამარ პეტრიაშვილი, ლიანა ხანდოლიშვილი, ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი ე. დავითაია), „მთიანი აჭარის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ანალიზი“ (ნინო გორთამაშვილი, ალექსანდრე ფირუზაშვილი, ხელმძღვანელები: პროფესორები ზ. სეფერთელაძე და ე. დავითაია), „შავი ზღვა — აჭარის ბუნებრივი პირობებისა და ტურისტული პოტენციალის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი“ (გიგა ჭელიძე, ხელმძღვანელი: ე. დავითაია), „აჭარის რეგიონის გეოეკოლოგიური მდგომარეობა და თანამედროვე ეგზოგენური პროცესები“ (პაატა დვალაძე, ხელმძღვანელი: გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ე. წერეთელი), „აჭარის ნიადაგური საფარი“ (თეონა დემეტრაშვილი, ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი ლ. მაჭავარიანი), „აჭარის სანაპირო ზონის ნიადაგების გაჭუჭყიანება და აგროსამრეწველო პოტენციალი“ (სალომე ლომიძე, ნინო შუშტაკაშვილი, ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი ბ. კალანდაძე), „აჭარის ტოპონიმია“ (რიტა სამხარაძე, ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი ე. დავითაია), „აჭარის დაცული ტერიტორიების სისტემა და მისი როლი გარემოს დაცვაში“ (ანა სამყურაშვილი, თეონა დემეტრაშვილი, მაია ნათაძე, ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი ე. დავითაია), „აჭარის ბუნებრივი გარემო და ადამიანის ჯანმრთელობა“ (თამარ გიგანი, ხელმძღვანელი: პროფესორი ე. დავითაია), „აჭარის ტურისტულ-რეკრეაციული ათვისების პერსპექტივები“ (ელისაბედ ავალიანი, ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი ზ. სეფერთელაძე) — ეს ის საკითხებია, რომლებზეც სტუდენტებმა დიდი ყურადღებითა და მონდომებით იმუშავეს და თეორიული ცოდნა პრაქტიკული ცოდნით განიმტკიცეს.

ბუნებრივია, სტუდენტთა ნაშრომებს ვერ ექნებათ სერიოზული პრეტენზია მეცნიერული კვლევა-ძიებისა, მაგრამ ის გარკვეულ წარმოდგენას იძლევა აჭარის ბუნების ზოგადგეოგრაფიულ კანონზომიერებებზე და, რაც მთავარია, ამ სახის საველე სამუშაოები და საქმიანობა უდავოდ ხელს შეუწყობს სტუდენტის სრულყოფილ მკვლევარად ჩამოყალიბებას.

„სამართლის ჟურნალის“ პრეზენტაცია თსუ-ში

„სამართლის ტრანსფორმაციისა და ევროპულ სამართალთან მისი ჰარმონიზაციის პროცესი გადაუდებლად მოითხოვს ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების განხორციელებას და მათი შედეგების ფართოდ პრეზენტაციას. ამაში უდავოდ დიდია სამეცნიერო ჟურნალის მნიშვნელობა, რასაც მოწინავე ქვეყნების გამოცდილებაც ადასტურებს“, — აღნიშნა პროფესორმა ბესარიონ ზოიძემ „სამართლის ჟურნალის“ პრეზენტაციაზე, რომელიც 5 ივნისს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში გაიმართა.

შურთხია ბერეშვილი

როგორც იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა ირაკლი ბურდულმა შეხვედრაზე აღნიშნა, ახალი ჟურნალის გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა ფაკულტეტის ისტორიაში.

„ჟურნალში დაბეჭდილია თსუ-ის აკადემიური პერსონალის, გამოჩენილი ქართველი იურისტების მეცნიერული სტატიები. მომავალში გამოცემის მომზადებაში მონაწილეობას მიიღებენ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები და მაგისტრანტებიც. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ნომერში დაიბეჭდება მსოფლიოში აღიარებული იურისტების სამეცნიერო ნაშრომები. იმედი მაქვს, ახალი გამოცემით სტუდენტები და ამ დარგის სპეციალისტები დაინტერესდებიან და მასში მათთვის საინტერესო ინფორმაციას მოიძიებენ“, — განაცხადა ირაკლი ბურდულმა.

„სამართლის ჟურნალში“ წარმოდგენილი თემატიკა მრავალფეროვანი და აქტუალურია. როგორც იურისტებმა აღნიშნეს, სამეცნიერო სტატიები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად არის შერჩეული და რომ თითოეული სტატიის ავტორი თავისი დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტია.

ჟურნალში გამოქვეყნდა გიორგი დავითაშვილის („თანამონაწილეობის საკითხი ქართულ ჩვეულებით სამართალში“), გურამ ნაჭყებიას („დანაშაული ბრალის ორი ფორმით“), ლადო ჭანტურიას („ევროპის კერძო საზოგადოება — სიახლე ევროპის საკორპორაციო სამართალში“), გიორგი თუმანიშვილის („პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები“), მზია დონდუას („დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა“), გიორგი კახიანის („აბსტრაქტული ნორმათკონტროლის პრობლემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში“), ქეთევან ქოჩაშვილის („ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა“), გულნაზ გალდავას („სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით“), ნათია ჩიტაშვილის („ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის“), დევი ხვედელიანის („ანდერძით მემკვიდრეობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით“) ნაშრომები.

ჟურნალში დაიბეჭდა, ასევე, მსოფლიოში ცნობილი მაქს პლანკის ინსტიტუტის დირექტორის კლაუს ჰოპტის სამეცნიერო სტატია „კორპორაციული მართვა ევროპაში: რეგულირების ახალი მოდელი და „რბილი სამართალი“, რომელიც იურიდიული ფაკულტეტს დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა ირაკლი ბურდულმა თარგმნა.

„სამართლის ჟურნალის“ რედაქტორმა ბესარიონ ზოიძემ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს ირაკლი ბურდულს და სარედაქციო კოლეგიის წევრებს მადლობა გადაუხადა ახალი სამეცნიერო ჟურნალის გამოცემისთვის და ხელშეწყობისათვის.

„სიამაყითა და, ამავე დროს, სინანულით მინდა აღვნიშნო, რომ თითქმის საუკუნეს მიტანებულ იურიდიულ ფაკულტეტს პირველად ეღირსა ფართო პროფილის სამეცნიერო ჟურნალი. დასანანია, რომ ქვეყანაში, სადაც იურიდიული პროფესია ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია, ამ დარგში სულ რამდენიმე ჟურნალი არსებობს. იმედია, ეს წამოწყება მისაბაძი იქნება სხვა უნივერსიტეტებისთვისაც.

მრავალი შემთხვევა ახსოვს ისტორიას, როდესაც ადამიანებს საჟურნალო სტატიებში გადმოუციათ ის კონცეფციები, რომელთაც სერიოზული გავლენა მოუხდენიათ სამართლის განვითარებაზე. მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალში დაიბეჭდება ევროპული სამართლის აღიარებულ მკვლევართა წერილებიც“, — განაცხადა ბესარიონ ზოიძემ. მისივე თქმით, პირველი ნომერი, ცხადია, არ იქნება დაზღვეული ხარვეზებისგან. მთავარია, რომ იურიდიულ ფაკულტეტს უკვე აქვს თავისი ჟურნალი, რომელიც თანდათან დაიხვეწება. მისი ინფორმაციით, „სამართლის ჟურნალი“ სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებში გადაიგზავნება.

მიხეილ ბარათაევი და მისი სალონური ალბომი

ქართული მეცნიერული ნუმიზმატიკის ფუძემდებელს მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევს — ბარათაშვილს (1784-1856 წწ.) ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მონოგრაფიამ „Нумизматические факты грузинского царства“ (Петербург, 1844 წ.) ავტორს საერთაშორისო აღიარება მოუტანა. მისი მამა — პეტრე მიხეილის ძე ბარათაევი გენერალ პორუჩიკი სიმბირსკის გუბერნატორი გახლდათ. პაპა მელიქსედექ ბარათაშვილი 1724 წელს ვახტანგ VI-ის ამალაში იმყოფებოდა, იგი სამუდამოდ დასახლდა რუსეთში. თავად მიხეილ ბარათაევი, რომელმაც თავისი დროის შესაფერისი განათლება მიიღო (1820-1835 წწ.), სიმბირსკის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი — მარშალი გახლდათ. „ბროკჰაუზ-ეფრონის“ ენციკლოპედიის თანახმად (Спб, 1891, ტ. III) იგი ცნობილი ყოფილა „როგორც არქეოლოგი და ნუმიზმატი“. მას ოჯახში ქართული სულისკვეთებით ზრდიდნენ, რაც კარგად ჩანს მისი ფრანგულ-რუსული ენოვანი მონოგრაფიის ქართული კომენტარებიდან. 1839 წელს როგორღაც მოუხერხებია საქართველოში სამსახურში განწესება და თავის ისტორიულ სამშობლოში ხანმოკლე ცხოვრება. მას „ამიერკავკასიის ოლქის საბაჟოს უფროსის“ პრესტიჟული თანამდებობა ეკავა უმაღლესი სამოქალაქო ჩინით „Действительный статский советник“, როგორც ჩანს მისი პატრიოტული საქმიანობა სამეფო კარს არ მოწონებია. იგი დაახლოვებია ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილს, კერძოდ, მელიტონ ბარათაშვილის ოჯახს. განსაკუთრებით თბილი და საქმიანი ურთიერთობა ჰქონია თავის შორეულ ნათესავ ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილთან, რომელიც მას აქტიურად ეხმარებოდა მონეტების შეგროვებასა და საქართველოს ისტორიის შესწავლაში. ქართულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ ახსოვდათ 1832 წლის შეთქმულების შედეგები. რუსული მმართველობით გამოწვეული უკმაყოფილება დიდი ყოფილა, მიხეილ ბარათაევის ნაშრომი კი ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას ემსახურებოდა. 1842 წლის 20 ნოემბერს იმპერატორმა თავისი უზენაესი განკარგულებით გააუქმა მისი თანამდებობა და გაიწვია პეტერბურგში (საქართველოს სახ. საისტ. არქივი, ფონდი 378, აღწ. 1, ფურც. 149).

მ. ბარათაევი თბილისში სოლოლაკში, შადინოვის სახლში (დღევანდელი ლ. ასათიანის ქუჩაზე 30) ცხოვრობდა და თვიურად 25 მანეთს იხდიდა. მას 1842 წელს ტატომ მიუძღვნა ლექსი: „საფლავი მეფის ირაკლისა. (კნიაზს მ... პ... ძე-ს ბარატოვს)“, სადაც მას „ჟამ-ვითარებით გარდახვეწილ“-ს მამულში განათლების შემომტანად წარმოაჩენს. პოეტის სიტყვებით ის „ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სულია“, რომელიც „უდნობს ყინულსა ჩრდილოგისა, განცეცხლებული“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები ტფილისი, 1922 წელსა, გვ. 104. ამ ლექსს ადრე სათაურად ჰქონია „საფლავი ივერიისა“! გვ. 198. ამ სათაურით დაიბეჭდა ის „ცისკარში“, 1860 წლის ივლისის ნომერში. გვ. 179.).

პოეტის განათლების დონეზე, ასევე, მაღალი წარმოდგენისა ყოფილა მიხეილ ბარათოვი. ჩვენამდე მოაღწია მისმა წერილმა მელიტონ ბარათაშვილისადმი, სადაც ნათქვამია: „მეტისმეტად გამახარებდა ჩვენი საერთო სიყვარული თუ ნიკოლოზ მელიტონის ძე, თუ თავის უხვი ცოდნით და ნიჭით შეავსებდა თავისი მოხუცი პაპის პირველ ნაშრომსო“. პეტერბურგში გამგზავრების წინ, როგორც ეს ტატოს ბიძისადმი გრიგოლ ორბელიანისადმი 1842 წლის 2 მაისის წერილიდან ირკვევა, მიხეილ ბარათოვს მისთვის უთხოვია ალბომში ლექსის ჩაწერა (ნ. ბარათაშვილი, დასახ. კრებული, გვ. 179.). ლექსის სათაურია — „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“. მკვლევარმა, სწავლულმა ფილოლოგმა შ. გოზალიშვილმა მიაკვლია ამ ალბომს მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (შ. გოზალიშვილი. მიხეილ ბარათაშვილი. თბ, 1987, გვ. 70.). რატომღაც ის არ აღწერს ამ ალბომს და არ აღნიშნავს ვანდალიზმის საშინელ ფაქტს. ალბომის 75-ე გვერდიდან ამოჭრილია ნ. ბარათაშვილის, ქართველებისთვის უძვირფასესი, ავტოგრაფი. დაიტანეს თუ არა ნ. ბარათაშვილის ეს ნატიფი ოთხტაეპიანი სხარტულა — ექსპრომტი აზარფეშაზე უცნობია. ვფიქრობთ, გარკვეულ ინტერესს იწვევს გრიგოლ ბარათაშვილის სალონური ალბომი (ГИМ, Единица хранения №233, фонд №1), რომლის პირველი ჩანაწერი 1813 წლით თარიღდება, ხოლო უკანასკნელი — 1855 წლით. ალბომი მუზეუმს შეუძენია XX საუკუნის 30-იან წლებში, ცნობილი მეწარმის ალექსი პეტრეს ძე ბახრუშინის კოლექციასთან ერთად. ალბომის ზომებია: 22 სმ X 18 სმ, 2 სმ სისქისა. ჩასმულია შავტყავგადაკრულ ყდაში. ესაა XIX საუკუნისათვის ესოდენ დამახასიათებელი ფრანგული წარმოების (?) ნატიფი ალბომი, რომელშიც ოჯახის სტუმრებსა თუ ახლობლებს შეჰქონდათ: ჩანახატები, ლექსები, პროზაული ნაწარმოებები, მუსიკალური ფრაზები (ნოტები) — ამით ისინი აფიქსირებდნენ პატივისცემას მფლობელის მიმართ და გადმოსცემდნენ თავიანთ ემოციურ განწყობას: მ. ბარათაევის ალბომს, სადაც ტატომ თავისი მშვენიერი სხარტულა შეიტანა, გარეკანზე კიდეებში შემოუყვება მოოქროვილი ტალღური ორნამენტის არშია. ალბომი სულ 129 პერგამენტის მსგავს თხელ ფურცელს შეიცავს, ალაგ-ალაგ (მაგ: გვ. 64, 74, 76, 80, 86) გამოუყენებულია იმ დროისათვის პოპულარული ტექნოლოგიური სიახლე — ფერადი ლითოგრაფით გაკეთებული ღია ბარათების მაგვარი სურათები (იტალიის პეიზაჟები, ჟანრული სცენები), ფერადი აპლიკაციები ამურების, ჩიტების, პეპლების, ვარდ-ყვავილების გამოსახულებით. ალბომის შედგენისას მიხეილ ბარათაევი 29 წლის გახლდათ, ხოლო ტატო ექსპრომტის დაწერისას 26 წლისა. მიუხედავად დიდი ასაკობრივი სხვაობისა, მათ შორის ახლო მეგობრული ურთიერთობა დამყარებულა. ამის საფუძველი არა მარტო ნათესაობა გახლდათ, არამედ დიდი სიყვარული სამშობლოსადმი, მისი ისტორიისადმი. შემონახულია ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილის ნაწყვეტი 1842 წელს მიწერილი გრ. ორბელიანისადმი: „აი, ჩემი უკანასკნელი ლექსი, რომელიც კნიაზ ბარათაევს ალბომში ჩავუწერე, მისი თხოვნით — ისიც ამ ორი დღის უკან მიდის პეტერბურგში с большим запасом сведений об исторической Грузии“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი: ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, გვ. 179).

ეჭვგარეშეა, ამ „ისტორიული მარაგის“ დაგროვებაში მას დიდი დახმარება ნიკოლოზ ბარათაშვილმა გაუწია. თანამედროვეთა გადმოცემით ტატო გამოირჩეოდა თანატოლთაგან ისტორიის ღრმა ცოდნითა და ერუდიციით. მისი მასწავლებელი ხომ სოლომონ დოდაშვილი იყო!

ალბომის პირველი გვერდი ეთმობა მფლობელის ლამაზი, კალიგრაფიული ხელით, სხვადასხვა ენებზე (ებრაული, არაბული, სპარსული, ოსმალური, ძველი სლავური ე.წ. საეკლესიო სლავური, ფრანგული), მათ შორის, ქართული (ასომთავრული და ნუსხა-ხუცური) ფაქსიმილეს — „თავადი მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევი“. ეს მრავალენოვანი წარწერები თითქოს წარმოაჩენს მ. ბარათაშვილის სულიერ სამყაროს, მისი ინტელექტუალური ინტერესების სფეროს. მიუხედავად იმისა, რომ ალბომში არაფერია ნათქვამი ქართული მონეტებით მისი მეცნიერული გატაცების თაობაზე, მესამე ფურცელზე ფრანგული მონოგრამაა დატანილი ოვალურ ფარზე: — PMPB — თავადი მიხეილ პეტრეს-ძე ბარათაევი. შემდეგ მოდის გაკრული ხელით შესრულებული ფრანგული უავტორო ლექსი. მის პოლიტიკურ სიმპათიებს, როგორც დეკაბრისტისას, უნდა ასახავდეს ფანქრით შესრულებული ეტიუდი — „ნაპოლეონი კუნძულ ელბაზე, 1816 წ“. ამას მოსდევს რუსული, ფრანგული რუსული პროზაული ჩანაწერები. ჩანს, რომ ალბომის ფორმირებისას არ იცავდნენ მკაცრად ქრონოლოგიური მიმდევრობის პრინციპს. ასე მაგალითად, 67 გვერდზე მოთავსებული რუსული ლექსი 1814 წლით არის დათარიღებული. 70 გვერდზე კი ქართული უთარიღო ჩანაწერია, რომელიც მ. ბარათაევის თბილისურ პერიოდს (1839-1842) უნდა ეკუთვნოდეს. ნ. ბარათაშვილის დაკარგული ექსპრომტის შემდეგ ეს ერთადერთი ქართული ჩანაწერია, რომელიც ვინმე გიორგი ნილაძეს (იქნებ ჭილაძეს ან ჩილაძეს?) ეკუთვნის. ჩანაწერი უშუალოდ მიხეილ ბარათაევს ეძღვნება და მისი მოღვაწეობის თავისებურ შეფასებას წარმოადგენს:

„იშვიათად კაცსა შეხვდების თავისი დასაბამის ცნობა, შენცა ამისთვის არა გაქვს ქართული ენის ცნობა“ — თითქოს ავტორი საყვედურობს მიხეილს, რომ საკმარისად არ ფლობს ქართულ ენას, თუმცა კარგად იცის თავისი წინაპრების შესახებ. ასეთი განცხადების უფლება, ალბათ, მასთან დაახლოებულ პირს თუ ჰქონდა. საინტერესოა ვინ იყო ეს ადამიანი.

ალბომის 92-ე გვერდზე მშვენიერი, ფანქრით შესრულებული ჩანახატია — „ვოევოდა ცხენზე“.

ბარათაშვილი პეტერბურგიდან დაბრუნდა თავის მამულში „ბარათაევკაში“ და იქ გარდაიცვალა. საფლავი დაკარგულია. კარგი იქნებოდა, მისი სახელის უკვდავსაყოფად შადინოვის სახლის ფასადზე გაკეთებულიყო მემორიალური დაფა შესაბამისი წარწერით: „ეს მან თავისი მოღვაწეობით სავსებით დაიმსახურა“.

გურამ ლორთქიფანიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს გზა დაულოცეს

შურთხია ბეროშვილი

„უნივერსიტეტის ცის ქვეშ სულ სხვაგვარი ყვავილობაა, ამიტომ არასდროს დამავიწყდება აქ გატარებული დღეები“, — აღელვებულმა განაცხადა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა მარიამ ბეჟიტაშვილმა კურსდამთავრებულთა შეხვედრაზე, რომელიც 12 ივნისს უნივერსიტეტის VIII კორპუსის სააქტო დარბაზში საზეიმოდ აღინიშნა.

კურსდამთავრებულებს გზა დაულოცა და წარმატებები უსურვა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ.

„ძვირფასო მეოთხეკურსელებო! — სამწუხაროდ და, ამავე დროს, საბედნიეროდ, დღეიდან ასე აღარავინ მოგმართავთ, რადგან უკვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულები ხართ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ იმ ერთ-ერთი უძველესი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მემკვიდრეები ხართ, რომელიც ახლად დაარსებულ პირველ ქართულ უნივერსიტეტში შეიქმნა.მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, 91 წელი გავიდა, თქვენ კი „პირველები“ ხართ, რომლებიც ეროვნული გამოცდების შედეგად მოხვედით უნივერსიტეტში.

მჯერა, რომ სადაც არ უნდა წახვიდეთ და რაც არ უნდა მოხდეს თქვენს ცხოვრებაში, მუდამ იქნებით უნივერსიტეტთან დაკავშირებული იმ ოთხი წლით, რომელიც „ბეწვის ხიდი“ იყო. „უნივერსიტეტელობა“ საამაყოა, მაგრამ, ამავე დროს, პასუხისმგებლობით სატარებელი ტვირთიც. გისურვებთ, ღირსეულად ატაროთ ეს წოდება!

სტუდენტებს პროფესორმა მარიამ ლორთქიფანიძემაც მიმართა: „ბავშვებო! — ასე მოგმართავთ არა მარტო ახალკურსდამთავრებულებს, არამედ პედაგოგებსაც, რადგან ერთ-ერთი ყველაზე უფროსი წარმომადგენელი ვარ უნივერსიტეტში. მახსოვს, სიამოვნებით მოგილოცეთ ოთხი წლის წინ უნივერსიტეტში ჩაბარებაც... ახლაც კეთილი სურვილებით გემშვიდობებით. ის ფაქტი, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი დაამთავრეთ, საამაყოა. ვისურვებდი, რომ ყოველ თქვენგანს შეგნებული ჰქონდეს ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც თქვენს თაობას აკისრია.

აი, უკვე მერამდენედ ვუსმენ უნივერსიტეტის ჰიმნს და ყოველთვის უჩვეულოდ ვღელავ, როგორც იმ დღეს, როდესაც ეს დიდებული მელოდია პირველად მოვისმინე უნივერსიტეტის დიდ სააქტო დარბაზში. დღესაც სიამაყით ვიხსენებ ჩემს პედაგოგებს: სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილს, გიორგი ნიორაძეს, გიორგი ჩიტაიას, ალექსანდრე ნამორაძეს, რომლებიც იმ რთულ დროს, საბჭოთა დიქტატურის პირობებში, ახერხებდნენ ჩვენში პატრიოტული გრძნობის გაღვივებას და სამშობლოს სამსახურისკენ მოგვიწოდებდნენ. ახლა თქვენთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ მაშინ ეს გმირობის ტოლფასი იყო. იმედი მაქვს, უმეტესობა თავისი სპეციალობით შეძლებს გზის გაგრძელებას“.

კურსდამთავრებულებს უნივერსიტეტის დამთავრება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ თედო დუნდუამაც მიულოცა. „მოგესალმებით და არ გემშვიდობებით, რადგან ჯერ ისევ გაქვთ შანსი — გაიაროთ სწავლების მეორე და მესამე საფეხური. თქვენ პირველები ხართ, როლებიც ეროვნული გამოცდების გზით მოხვდით უნივერსიტეტში. იმ პერიოდში მოხდა ფაკულტეტების სინთეზირება, არჩევითი საგნების დანერგვა, სპეციალობების ტრანსფორმირება და საგნების კრედიტების გაზრდა. ასე რომ, თქვენ უკვე მზად ხართ ყველა ცვლილებისთვის და მჯერა, რომ ასეთივე წარმატებით გადალახავთ ყველა წინააღმდეგობას“!

თანატოლებს უნივერსიტეტის დამთავრება მიულოცა ამავე ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა დიანა ლიპარტელიანმა.

„ამაღელვებელია ეს დღე, მაგრამ მე მაინც არ ვიტირებ, რადგან მჯერა, რომ ეს დასასრული ახლის დასაწყისია. ვისურვებდი, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის იდგეს ეროვნული ფასეულობების სადარაჯოზე. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ყველა პროფესორ-მასწავლებელს, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი ცოდნა და გამოცდილება ჩვენთვის გაეზიარებინათ“.

შეხვედრის ბოლოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2009 წლის 91-ე გამოშვების 800 სტუდენტი „კურსდამთავრებულთა კლუბის“ წევრი გახდა, რაც მათ ხელმოწერით დაადასტურეს. საზეიმო კონცერტის შემდეგ კი სააქტო დარბაზის ფოიეში უზარმაზარი თეთრი ტორტიც გაიჭრა.

თსუ-ის სტუდენტები წმინდა ასურელი მამების კვალდაკვალ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული საინიციატივო ჯგუფის ორგანიზებით, უნივერსიტეტის 300-მდე სტუდენტმა წმინდა ასურელი მამების ეკლესია-მონასტრები მოილოცა. ახალგაზრდები უკვე იმყოფებოდნენ 9 ასურელი მამის მიერ დაფუძნებულ ტაძრებში, სასწავლო პროცესის დასრულებამდე კიდევ 4 ექსკურსიაა დაგეგმილი. პროექტი, რომელიც 13 სამონასტრო კომპლექსის დათვალიერებასა და მოლოცვას ითვალისწინებს, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების მეორე კურსის სტუდენტებს ეკუთვნით.

ნატო ოგოლაძე

ასურელი მამების ეკლესია-მონასტრების მოლოცვა სტუდენტებმა 25 მარტს დაიწყეს. პროექტში, რომელიც უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით ხორციელდება, უკვე 300-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. როგორც საინიციატივო ჯგუფის წევრები აცხადებენ, მათი მიზანია ეკლესია-მონასტრების მონახულების პროცესში რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდის ჩაბმა, რაც პროექტში თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობას ითვალისწინებს.

„ეს არ არის ჩვეულებრივი ექსკურსია. ჩვენ ეკლესია-მონასტრების მოსალოცად მივდივართ. გვაქვს ჩვენი მოთხოვნები: გოგონებს აუცილებლად კაბები უნდა ეცვათ! ვინც წმინდა ასურელი მამების მონასტერში ზიარებისთვის ემზადება, კურთხევა თავისი მოძღვარისგან უნდა მიიღოს! ჩვენ საპატრიარქოსთან შეთანხმებით ვმოქმედებთ და პროექტის განხორციელებისას ვცდილობთ, ქრისტიანული წესები მაქსიმალურად დავიცვათ. უკვე მოვილოცეთ 9 ეკლესია-მონასტერი. პროექტი ზედაზნის ტაძარში დასრულდება“, — განაცხადა საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ნიკა ტაკიძემ.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საინიციატივო ჯგუფი 7 წევრისგან შედგება. სტუდენტებმა: ლევან ჩოფლიანმა, გიორგი ჩართოლანმა, საბა სალოაშვილმა, დავით მჭედლიშვილმა, ლევან კვეზერელმა, ნიკოლოზ ტაკიძემ და მარიამ მჭედლიშვილმა პროექტზე „13 ასურელი მამის კვალდაკვალ“ მუშაობა გასული წლის სექტემბერში დაიწყეს. მათ წმიდა მამების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია საჯარო ბიბლიოთეკიდან და თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლების დახმარებით მიიღეს, რის შემდეგაც პროექტის განსახორციელებლად საჭირო დაფინანსების შესახებ თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას მიმართეს. პროექტის განხორციელებაში, ასევე, აქტიურ მონაწილეობას იღებენ თბილისის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტი და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

13 ასურელი მამის სამონასტრო კომპლექსების მონახულება და მოლოცვა მარტში დაიწყო, თუმცა ქვეყანაში არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს თხოვნით ექსკურსიები დროებით შეწყდა. ვითარების განმუხტვის შემდეგ ასურელი მამების ეკლესია-მონასტრების მოლოცვები ისევ გაგრძელდა. სტუდენტებმა უკვე მოინახულეს მარტყოფი, შიომღვიმე, სტეფანწმინდა, იყალთო, წილკანი, ურუმბო, ბრეთი, სამთავისი და ალავერდი. სასწავლო წლის დასრულებამდე ახალგაზრდები ხირსას, დავით გარეჯს, ნეკრესს და ზედაზენს მოილოცავენ, სადაც პროექტი დასრულდება კიდეც.

ეკლესია-მონასტრების მოლოცვის პარალელურად, პროექტის „13 ასურელი მამის კვალდაკვალ“ ფარგლებში, მზადდება დოკუმენტური ფილმი და ფოტორეპორტაჟი, რომელსაც საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი მარიამ მჭედლიშვილი ამზადებს. დოკუმენტურ ფილმში ცამეტივე ექსკურსია იქნება აღწერილი. ფოტოებისა და ფილმის პრეზენტაციას საინიციატივო ჯგუფის წევრები ახალი სასწავლო წლის დასაწყისში გეგმავენ.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების სტუდენტებმა თითოეული ასურელი მამის შესახებ მოხსენებებიც მოამზადეს, რომლებიც მათ ასურელი მამების ეკლესია-მონასტრებში წირვის დასრულების შემდეგ წაიკითხეს. მოხსენებები თსუ პროფესორის გია პაპუაშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა. საჭირო ფინანსური სახსრების მოძიების შემთხვევაში მათი დაბეჭდვა და ბროშურების სახით გავრცელებაც იგეგმება.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საინიციატივო ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრთან. სწორედ ცენტრის ხელმძღვანელის მეუფე სტეფანეს ხელშეწყობით დაუკავშირდნენ სტუდენტები უწმიდესსა და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, რომლის ლოცვა-კურთხევითაც მიმდინარეობს აღნიშნული პროექტის განხორციელება. საინიციატივო ჯგუფის წევრებს, ასევე, უშუალო კავშირი აქვთ საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების ხელმძღვანელთან ნელი ჯიქურთან.

პროექტის „13 ასურელი მამის კვალდაკვალ“ ყველა მონაწილეს საპატრიარქოსგან საჩუქრად წმიდა წიგნი „ახალი აღთქმა და ფსალმუნები“ და ხატები გადაეცა.

ინტელექტუალურ თამაშში — „რა? სად? როდის?“ გამარჯვებულნი

ყველამ, ვინც 6-7 ივნისს მაღლივ კორპუსს ესტუმრა, ნახა, რომ თსუ მართლაც აქტიურად ცხოვრობს. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის კიდევ ერთი პროექტის „რა? სად? როდის?“ მასშტაბებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თამაშში მონაწილეობის სურვილი 70-მდე ექვსკაციანმა გუნდმა გამოთქვა. მონაწილეობდნენ ახალბედებიც და უკვე კარგად გამოცდილი გუნდებიც. თამაშების პირველ დღეს პირველ შესარჩევ ტურში ერთმანეთს 30, მეორეში კი 34 გუნდი ეპაექრებოდა. ფინალში ითამაშა 32 გუნდმა. თამაშებმა დაძაბულად და საინტერესოდ ჩაიარა. მათ უძღვებოდა ინტელექტ-კლუბის წევრი ვახტანგ ელერდაშვილი, რომელმაც თავისი მჭევრმეტყველებითა და საინტერესო წამყვანობით ტოლი არ დაუდო ცნობილ „ბატონ წამყვანს“ გიორგი მოსიძეს.

პირველ ადგილზე გავიდა გუნდი „ინტეგრალი“, მეორე „25-ე საათმა“ დაისაკუთრა, მესამე ადგილი წილად ხვდა „1 X“-ს. დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თეონა ლავრელაშვილმა პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულ გუნდებს წიგნები და სერტიფიკატები გადასცა. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ კითხვები და, ზოგადად, თამაშის მიმდინარეობა მეტად საინტერესო იყო.

სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი ულოცავს წარმატებას გამარჯვებულებს და თსუ-ის სტუდენტობას კიდევ ბევრ საინტერესო პროექტს პირდება.

რომან მიმინოშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

„კაცი, რომელმაც მოახერხა სამ დროში ცხოვრება“, — ასე შეაფასა ცნობილი ქართველი მეცნიერის, მთარგმნელის, საზოგადო მოღვაწის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, საზოგადო მოღვაწის, პროფესორ რომან მიმინოშვილის პიროვნება და მისი მოღვაწეობა პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა 28 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რომან მიმინოშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ინიციატივით გაიმართა. საღამო გახსნა პროფესორმა რისმაგ გორდეზიანმა, რომელმაც კიდევ ერთხელ შეახსენა დამსწრე საზოგადოებას რომან მიმინოშვილის დამსახურება ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

შურთხია ბერეშვილი

რომან მიმინოშვილის მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრა პროფესორმა ვალერი ასათიანმა. „ზოგჯერ ამა თუ იმ პიროვნების ღვაწლის შეფასებისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს უკვე მისი ამ ცხოვრებიდან წასვლის შემდეგ ხდება, მიზეზთა გამო, გადაჭარბებული სურათი იქმნება. ბატონი რომანი დიდი მოკრძალებითა და სისადავით გამოირჩეოდა. მას არასდროს უცდია თავისი დამსახურების ზედმეტად წარმოჩენა. იგი თვითკრიტიკულად აფასებდა ყოველივეს“, — აღნიშნა ვალერი ასათიანმა.

მისი ინფორმაციით, წლების მანძილზე რომან მიმინოშვილი ნაყოფიერად მოღვაწეობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში, მწერალთა კავშირსა და ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ მთავარ რედაქტორად. იგი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, სხვადასხვა დროს მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

რომან მიმინოშვილი ქართული კულტურის ისტორიაში შევიდა როგორც ჰომეროსის „ილიადას“ ორიგინალიდან პირველი სრული პოეტური თარგმანის ავტორი. მან პირველმა თარგმნა ქართულად დიდი რომაელი პოეტის პუბლიუს ვერგილიუს მარონის პოემა „ენეიდა“.

მეცნიერმა არაერთი გამოკვლევა და ქართული ნათარგმნი მიუძღვნა კიმენური ჰაგიოგრაფიის ნიმუშების შესწავლას. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი ძეგლები, რომელთა ბერძნული დედნები დღესდღეობით არ ჩანს. რომან მიმინოშვილის გამოკვლევები მნიშვნელოვანია არა მარტო ქართველოლოგიის, არამედ ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით, რადგან მათი საშუალებით ზოგჯერ შესაძლებელი ხდება მსოფლიო საქრისტიანო მწერლობაში არსებული ხარვეზების შევსება.

მან ნათლად წარმოაჩინა სიმონ ყაუხჩიშვილისა და კორნელი კეკელიძის ღვაწლი ქართულ-ბიზანტიკური ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემათა შესწავლის თვალსაზრისით.ეს თემა მის არაერთ პუბლიკაციაში ვრცლად არის წარმოდგენილი.

თვალსაჩინო მეცნიერი, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე რომან მიმინოშვილი გრიგოლ წერეთლისა და სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ შექმნილი კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინოლოგიის ქართული სკოლის ღირსეული წარმომადგენელი იყო.

ვალერი ასათიანმა რომან მიმინოშვილის კიდევ ერთ თვისებაზე გაამახვილა ყურადღება. „მას შეეძლო უდიდესი აღფრთოვანება გამოეხატა სხვათა ნამოღვაწარით, მისთვის უცხო იყო „შური — მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა“.ბევრჯერ მინახავს სხვისი წარმატებით აღფრთოვანებული. ასე იყო ჩვენი ერთ-ერთი უკანასკნელი შეხვედრისას ათენში, სასტუმროს ჰოლში, როცა იგი საოცარი სითბოთი და სიყვარულით ზეპირად კითხულობდა რეზო თაბუკაშვილის მიერ თარგმნილ შექსპირის 66-ე სონეტს.

რაც დრო გადის, მისი თანამედროვენი და მეგობრები ვრწმუნდებით, რომ მის პიროვნებაში, ბუნებაში, ხასიათში იყო ბევრი ისეთი რამ, რაც დღეს უკვე გაიშვიათებულია. იგი არაჩვეულებრივი სიკეთის, კეთილშობილებისა და ჭეშმარიტი მამულიშვილობის გამოხატულება იყო. დღესაც, ალბათ, ბატონი რომანის პრინციპებიდან და ცხოვრების წესიდან გამომდინარე მას ექნებოდა ერთადერთი პასუხი: „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“.

პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა ის დრო გაიხსენა, როდესაც მან რომან მიმინოშვილის მხარდაჭერით შეძლო ცენზურისათვის თავის არიდება და ჭაბუა ამირეჯიბის რომანის დაბეჭდვა. როგორც მან აღნიშნა, თურმე მწერალს არც ჰქონდა იმედი, რომ მისი რომანი საბჭოთა პერიოდში დღის სინათლეს იხილავდა. რომან მიმინოშვილმა ჯანსუღ ჩარკვიანის რჩევა გაითვალისწინა და ნაწარმოები დაიბეჭდა.

„ხშირად მიყვარს ასეთი სადღეგრძელოს თქმა: იმ კაცს გაუმარჯოს, ჩვენთან რომ იყო და სიცოცხლეს გვიადვილებდა, წავიდა და სიკვდილს გვიადვილებს! — ასეთი იყო ჩემი მეგობარი რომან მიმინოშვილი და არ შეიძლება ჩემი სიტყვები გადაჭარბებულად ჩაითვალოს. იგი იყო პიროვნება, რომელიც მხოლოდ სიკეთეს ხედავდა და ეძებდა, უღალატო იყო მეგობრობაში თუ ოჯახში. რომან მიმინოშვილმა შესანიშნავად იცოდა წარსულის ფასი, აწმყოში ცხოვრობდა და არ ივიწყებდა ილიას სიტყვებს: „აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია“, — აღნიშნა ჯანსუღ ჩარკვიანმა.

რომან მიმინოშვილის საიუბილეო საღამოზე მოგონებებით გამოვიდნენ: მწერალი გურამ დოჩანაშვილი, პროფესორები: ნოდარ ლომოური, ოთარ ბაქანიძე, ელგუჯა ხინთიბიძე, ზაზა აბზიანიძე და სხვები.

საიუბილეო საღამოზე გაიმართა რომან მიმინოშვილის ორტომეულის პრეზენტაცია, რომლის რედაქტორია პროფესორი ვალერი ასათიანი. წიგნში თავმოყრილია რომან მიმინოშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ნიმუშები (ორიგინალური პოეზია, პროზა, თარგმანები, ნარკვევები, პუბლიცისტიკა). ვალერი ასათიანის აზრით, აღნიშნული წიგნები მკითხველს წარმოდგენას შეუქმნის რომან მიმინოშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ.

თსუ-ში გალაკტიონობა აღინიშნა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლიტერატურული სახელოსნოს“ ხელშეწყობით გალაკტიონ ტაბიძის სახელობის დღეები დაწესდა. გალაკტიონობა ყოველ წელს მაისში გაიმართება და სამი დღის განმავლობაში გაგრძელდება. ქართველი პოეტის სახელობის დღეები ქართული პოეზიის მოყვარულების არჩილ აბესაძის, გიორგი ბზიშვილის და თსუ-ის „ლიტერატურული სახელოსნოს“ ინიციატივით აღინიშნება.

28 მაისს გალაკტიონობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველად აღინიშნა. ღონისძიება ორ ნაწილად ჩატარდა. პირველი საღამო თსუ-ის მაღლივ კორპუსში გაიმართა. მას სტუდენტები, თსუ-ის ,,ლიტერატურული სახელოსნოს" წარმომადგენლები და ლიტერატურული ინსტიტუტის წევრები — თემურ დოიაშვილი და ლევან ბრეგაძე დაესწრნენ, რომლებიც გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას იკვლევენ. საღამოზე არჩილ აბესაძემ, გიორგი ბზიშვილმა და თსუ-ის სტუდენტებმა გალაკტიონის ლექსები წაიკითხეს. თსუ-ის მაღლივ კორპუსში გამართულ ღონისძიებას ვახტანგ ჯავახაძეც დაესწრო. მისი ინიციატივით, იმ ადგილზე, სადაც გალაკტიონმა სიცოცხლე დაასრულა, სიმბოლური წარწერით ქვის დადება იგეგმება.

გალაკტიონის დღეები პოეტის მშობლიურ სოფელში ჭყვიშში გაგრძელდა. თსუ-ის სტუდენტები „ლიტერატურული სახელოსნოს“ ხელმძღვანელ ქეთევან შენგელიასთან ერთად გაემგზავრნენ და გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში პოეზიის საღამო გამართეს. ეს ღონისძიება გაცილებით მასშტაბური იყო — მასში თსუ-ის სტუდენტების გარდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმაც მიიღეს მონაწილეობა.

„30 მაისს ამ ღონისძიების ინიციატორებთან და სტუდენტებთან ერთად ჭყვიშში გახლდით, სადაც კიდევ ერთხელ ჩავატარეთ გალაკტიონისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო. ღონისძიება მიმყავდა პოეტის სახლის აივნიდან, რისთვისაც დიდ მალდობას ვუხდით მუზეუმის დირექტორს ირმა ცხვარაძეს. ძალიან ლამაზი საღამო გამოვიდა, ახალგაზრდები გალაკტიონის ლექსებს კითხულობდნენ, თითოეული მათგანი ცდილობდა უკეთ წარმოეჩინა პოეტის შემოქმედება. ძალიან სასიამოვნო დღე იყო.

ვგეგმავთ, მომავალ წელს ისევ მაისში გაიმართოს გალაკტიონის დღეები, აქედან ერთი დღე ყოველთვის აღინიშნება მის მშობლიურ მხარეში, ჭყვიშში. ვიხსენებ გალაკტიონის სიტყვებს – „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“. მნიშვნელოვანი და საჭიროა, რომ საქართველოში გალაკტიონის დღეების აღნიშვნა ტრადიციად იქცეს. ქართული კულტურის ამ უდიდესი ვარსკვლავის სახელი და გვარი ხომ ნებისმიერი ქვეყნის პოეზიას დაამშვენებდა. იმედი მაქვს, რომ ჩვენს გარდა, მომავალ წელს, ახალგაზრდებს გვერდით დაუდგება სხვა ორგანიზაციებიც, ვისთვისაც ძვირფასია ქართული კულტურა“, — განაცხადა ქეთევან შენგელიამ.

გალაკტიონობის დაწესების იდეა 17 მარტს, პოეტის გარდაცვალებიდან 50 წლისთავის აღნიშვნის დღეს დაიბადა. ეს ინიციატივა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არჩილ აბესაძესა და გიორგი ბზიშვილს ეკუთვნით, თსუ-ის ,,ლიტერატურული სახელოსნო" კი მათ ჩანაფიქრის განხორციელებაში დაეხმარა. უკვე დაიგეგმა, რომ 2010 წლის მაისში გალაკტიონის დღეები 3 დღის მანძილზე გაგრძელდება და პოეზიის საღამოების ჩატარების გარდა გალაკტიონის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციაც გაიმართება.

სტუდენტურმა ფესტივალმა ძალიან ლამაზ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი

მთაწმინდის პარკში ტრადიციული ხელოვნების სტუდენტური ფესტივალი „ერის ხმა“ გაიმართა. ფესტივალი სამი დღის განმავლობაში, 2-3-4 ივნისს გაგრძელდა, რომელშიც საქართველოს 14 აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობდნენ.

ნატო ოგოლაძე

ტრადიციული ხელოვნების სტუდენტური ფესტივალი — „ერის ხმა“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით და ორგანიზებით გაიმართა. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პროექტი თბილისის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტმა დააფინანსა და მასში საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა. ფესტივალს წინ უძღოდა შესარჩევი ეტაპი. ფესტივალი „ერის ხმის“ საორგანიზაციო ჯგუფის წევრები თბილისის, ახალციხის, ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, გორის უმაღლეს სასწავლებლებში იმყოფებოდნენ და საჭირო მონაცემების მქონე სტუდენტებს არჩევდნენ. შედეგად მთაწმინდის პარკში გამართულ ფესტივალზე მაყურებლის წინაშე 140-მდე ახალგაზრდა წარსდგა.

„ქართული სახელმწიფოს კულტურული ისტორია საუკუნეების მწვერვალებიდან გადმოგვცქერის. ამ საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა ეროვნული შედევრები, რომლებიც თანდათან ვითარდებოდა და იხვეწებოდა. სწორედ ამ ეროვნული საუნჯეების ფონზე შეიქმნა ფესტივალი „ერის ხმა“. ჩვენი სურვილი გახლდათ, მოგვეცვა მთელი საქართველო და, მართლაც, ამას მივაღწიეთ, რადგან ფესტივალში 14 უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობდა. „ერის ხმა“ ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დაახლოებას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენი კულტურის წარმოჩენას. დარწმუნებული ვარ, რომ ფესტივალი ისტორიაში შევა, როგორც ქართული ხელოვნების და ქართული სულის ზეიმი“, — განაცხადა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარემ გიორგი შამათავამ.

თუს-ის ადმინისტრაციისა და თბილისის მერიის წარმომადგენლებმა ხელოვნების სტუდენტურ ფესტივალზე აღნიშნეს, რომ წამოწყება ქართული კულტურის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს და რომ იგი ტრადიციად უნდა დამკვიდრდეს.

„აღსანიშნავია, რომ ყველა კონცერტმა სრული ანშლაგით ჩაიარა. მხარდაჭერა და დახმარებაა საჭირო, რათა მსგავსი პროექტები კიდევ უფრო მასშტაბურად განხორციელდეს, რისთვისაც თბილისის მერია ყოველთვის მზად გახლავთ“, — განაცხადა თბილისის მერის მოადგილემ ნიკო ხაჩირიშვილმა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი ხუბუას თქმით, ფესტივალი ახალგაზრდების სულიერ განწყობას ასახავს. ,,ჩვენი სტუდენტები თანამედროვენი და, ამავე დროს, ტრადიციულები არიან. მათთან ერთად დავტკბი ქართული კულტურის სილამაზით. ფესტივალმა ახალგაზრდული ჟინითა და ენერგიული განწყობით ჩაიარა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩვენ გვაქვს ძალიან ძლიერი ფესვები, რასაც უნდა გავუფრთხილდეთ. ეს ის კულტურაა, რომელსაც ჩვენი წინაპრები ქმნიდნენ და გვინახავდნენ. მიმაჩნია, რომ ფესტივალმა ძალიან ლამაზ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

ტრადიციული ხელოვნების სტუდენტურ ფესტივალზე სტუდენტებმა, ძირითადად, ქართული ფოლკლორი წარმოადგინეს. ამინდის გაუარესების მიუხედავად, სამი დღის განმავლობაში მთაწმინდის პარკში ქართული კულტურის ზეიმი სრული ანშლაგით მიმდინარეობდა. წვიმდა დახურვის ცერემონიაზეც, თუმცა ფესტივალს მაყურებელი მაინც არ აკლდა. „ფესტივალს ისეთი მუხტი ახლდა, რომ არ შეიძლება — არ აღფრთოვანებულიყავი. ეს სტუდენტური თვითმმართველობების ძალიან დიდი დამსახურებაა. სამწუხაროა, რომ მათ ბუნება ხელს არ უწყობს, რადგან მზიან ამინდში კიდევ უფრო ლამაზი გამოჩნდებოდა ეს ღონისძიება“, — გვითხრა თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა რომან ხარბედიამ.

ფესტივალის „ერის ხმა“ პროექტი რამდენიმე თვის წინ თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ შეადგინა. მისი განხილვა და დამუშავება რამდენიმე თვის მანძილზე თბილისის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტში მიმდინარეობდა. როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, გრძელვადიანმა მუშაობამ შედეგიც გამოიღო. თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობაში არ გამორიცხავენ, რომ მომავალში „ერის ხმა“ უფრო ფართო მასშტაბიანი გახდება და მასში კავკასიის სამივე ქვეყნის სტუდენტები ჩაერთვებიან.

კლიმატურ ცვლილებებთან ბრძოლისკენ მიმართული იდეებისა და გამოგონებების გლობალურ კონკურსზე მთავარი პრიზი კენიელმა ჯონ ბომერმა მოიპოვა. მისი ქმნილება – ფოლგით შეფუთული მუყაოსგან დამზადებული პატარა ღუმელი, რომელსაც გამჭვირვალე პლასტიკატი ფარავს – უდავოდ ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენად მიიჩნიეს და ორიგინალური სახელი — „მზე კოლოფში" უწოდეს. თავად გამომგონებელს მიაჩნია, რომ ამ ღუმელს განვითარებადი ქვეყნების სამი მილიარდი ადამიანის ცხოვრების წესის შეცვლა შეუძლია. იგი შეშის ეკონომიას და, აქედან გამომდინარე, ტყეების გაშენებას შეუწყობს ხელს. ღუმელი იმდენად მარტივი კონსტრუქციისაა, რომ მისი წარმოება ყველგან შეიძლება, სადაც მუყაო-ქაღალდის ან ავეჯის ფაბრიკები არსებობს. ღუმელს, დაახლოებით, ცელსიუსით 80 გრადუსი ტემპერატურის გამომუშავება შეუძლია, ეს კი მოსამზადებლად უამრავ პროდუქტს ეყოფა. მასზე წყლის სტერილიზაცია, პურის გამოცხობა და უბრალო სუპების ან ფაფების მომზადება შეიძლება. თუ გავითვალისწინებთ, რომ, დღეს-დღეობით, დაახლოებით ორი მილიარდი ადამიანი საჭმელს ცეცხლზე ამზადებს და ამისთვის შეშას იყენებს, გამოგონებას უდაოდ დიდი, პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

ვატიკანის მთავარმა ასტრონომმა გაბრიელ ფიუნესმა განაცხადა, რომ სხვა პლანეტებზე უფლის მიერ შექმნილი ჩვენგან განსხვავებული მოაზროვნე არსებები შეიძლება ცხოვრობდნენო და ვატიკანის გაზეთში გამოაქვეყნა სტატია: „უცხოპლანეტელებო – ძმებო!" მამა ფიუნესი ვატიკანის ობსერვატორიას ხელმძღვანელობს და მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტთან თანამშრომლობს. სულიერი მამის აზრით, უცხო პლანეტებზე სიცოცხლის ძებნა სარწმუნოებას სულაც არ უპირისპირდება. ინკვიზიციის მიერ გალილეო გალილეის დევნის გახმაურებულ ბრალდებას იგი დიპლომატიურად უვლის გვერდს, თუმცა აღიარებს, რომ გარკვეული შეცდომები დაუშვეს. მიუხედავად ამისა, იგი თვლის, რომ ახლა დრო დადგა ახალი ფურცელი გადაშალონ და მომავლისკენ გაიხედონ. ვატიკანის მთავარი ასტრონომი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ რელიგიას და მეცნიერებას ერთმანეთი ძალიან სჭირდებათ.

Nasa-ს თანამშრომლებს ვერაფრით დაუდგენიათ რა არის გამოსახული იმ იდუმალ ფოტოებზე, რომელიც ავტომატურმა კოსმიურმა ზონდმა Mars Reconnaissance Orbiter-მა მარსიდან დედამიწაზე გადმოგზავნა. როგორც ცნობილია, ამ ზონდს მაღალი გაფართოების ფოტოების გადაღება შეუძლია. უკანასკნელ ფოტოებზე აშკარად ჩანს ობიექტები, რომელთა წარმოშობაც დაუდგენელია. სპეციალისტების განცხადებით, იგი ბეწვის ან თმის გროვას ჰგავს. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტის წარმოშობა ჯერ დაუდგენელია, Nasa-ს თანამშრომლებს ოფიციალური პრესრელიზის გამოქვეყნება მაინც მოუწიათ.

როგორც ცნობილია კაცობრიობა უხსოვარი დროიდან ოცნებობდა ჩიტივით ეფრინა. თვითმფრინავის გამოგონებამაც კი ეს სურვილი ვერ შეუსრულა, რადგან ეს საფრენი აპარატი მეტისმეტად დიდი აღმოჩნდა. და აი, იაპონელი მეცნიერების ბოლო ქმნილებამ ადამიანს სწორედ ფრთები შეასხა. ამ პატარა, საკმაოდ

მოხერხებულ სავარძელს, რომელსაც ზემოთ ვერტმფრენის ოთხი მომცრო პროპელერი აქვს დამაგრებული, ჰაერში 210 კილოგრამის ატაცება შეუძლია. თავად აპარატი სულ 70 კილოგრამს იწონის, ჩვეულებრივი ბენზინით „იკვებება" და ერთი „ულუფა" 30 წუთი ყოფნის. გარდა ამისა, მას საკმაოდ დიდი ძალა აქვს, 3000 მეტრის სიმაღლეზე აფრენა და 100 კმ.სთ. სისწრაფის განვითარება შეუძლია. აპარატს უსაფრთხოების თვალსაზრისითაც საკმაოდ სერიოზული დაცვა აქვს. მასზე ოთხი ძრავაა დამაგრებული, ექსტრემალურ სიტუაციაში კი ორითაც შეუძლია იმუშაოს. ეს მსოფლიოში ყველაზე პატარა საფრენი აპარატი, რომელიც გინესის რეკორდების წიგნში უკვე მოხვდა, მხოლოდ 30 000 დოლარი ღირს. ასე რომ, შორს აღარაა ის დრო, როცა კაცობრიობა ჩიტივით ფრენას დაიწყებს.

ისრაელის ტერორიზმთან მებრძოლი საერთაშორისო ინსტიტუტის „გონებრივი ცენტრის" ხელმძღვანელმა იაელ შაჰარმა სენსაციური განცხადება გაავრცელა. იგი დარწმუნებულია, რომ „მიკროტალღური ზარბაზნის" დამზადება, რომელსაც თვითმფრინავის მწყობრიდან გამოყვანა შეუძლია, საოჯახო პირობებშიც კი შეიძლება. მისთვის საჭირო დეტალების შეძენა, ინტერნეტის საშუალებით, იოლად შეიძლება. უკიდურეს შემთხვევაში კი მის ამოღებას საოჯახო ტექნიკიდან (მიკროტალღური ღუმელი, ციფრული კამერა) შეძლებენ. „ასეთი ზარბაზნის შექმნას დიდი შრომა არ სჭირდება, ინტერნეტში მისი დამზადების შესახებაც საკმარისი ინფორმაციაა. ძლიერი ელექტრომაგნიტური იმპულსი, რომელსაც ეს მოწყობილობა გამოასხივებს, თვითმფრინავებისთვის, დაშვების დროს, რეალურ საფრთხეს ქმნის. თვითმფრინავებში დღეს არსებული ყველა დაცვის სისტემა ამის წინაშე უძლურია", — განაცხადა მეცნიერმა.

კომპიუტერულმა კომპანია Sumantec-მა გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ მავნე პროგრამების რაოდენობა ინტერნეტში კატასტროფულად გაიზარდა. 2008 წელს მისმა რაოდენობამ 1,6 მილიონს მიაღწია, მაშინ, როდესაც 2007 წელს მხოლოდ 624,3 ათასს აღწევდა. ვირუსის შემქმნელები აღარ აგზავნიან წერილებს, სადაც სპამია ჩამალული. ახლა ისინი სერიოზულ ინტერნეტ-საიტებს, მაგალითად, მომსახურების სფეროთი დაკავებული კომპანიების საიტებს აზიანებენ. ამასთანავე, ძალიან ერიდებიან მსხვილ, კორპორაციულ პორტალებს, რადგან ასეთ კომპანიებს, როგორც წესი, ძლიერი სპეციალისტები ჰყავს და პორტალის აღდგენას მალე შეძლებენ. ჰაკერები მომცრო კომპანიების, ვთქვათ, პატარა სასტუმროების საიტებს ამჯობინებენ. „2008 წელს 76%-ის შემთხვევაში გამოყენებული იყო პროგრამა, რომელიც კლავიატურაზე ნებისმიერ კლავიშს აღნუსხავდა. მიზანი, რა თქმა უნდა, ინფორმაციის, უმეტესად კი საბანკო ანგარიშების მოპარვა იყო", - აღნიშნულია მოხსენებაში. სპეციალისტების აზრით, მომხმარებელი ანტივირუსის იმედით ვეღარ იქნება, ამიტომ მსოფლიო საზოგადოებრიობა მავნე პროგრამების შემქმნელთა წინააღმდეგ უნდა დაირაზმოს.

პორტალმა OnePoll.com ჩაატარა გამოკითხვა, რათა დაედგინა — რომელი წიგნი აღმოჩნდა მკითხველისათვის ყველაზე მეტად შთაგონების წყარო. პირველი ადგილი ამ სიაში დაიკავა ჰარპერ ლის გახმაურებულმა რომანმა „მოჰკლა ჯაფარა". ეს რომანი ამერიკაში, დეპრესიის წლებში, რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ეძღვნება და რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, პოპულარობით მან ბიბლიასაც კი გაუსწრო. გამარჯვებული წიგნების სია კი ასე გამოიყურება:



1. „მოჰკლა ჯაფარა" — ჰარპერ ლი.
2. ბიბლია.
3. „ბავშვი, რომელსაც ეძახდნენ „იგი" — დეივ პელცერი.
4. „მამაკაცი მარსიდან, ქალი ვენერადან" — ჯონ გრეი.
5. „ანა ფრანკის დღიური" — ანა ფრანკი.
6. „1984" — ჯონ ორველი.
7. „ხანგრძლივი გზა თავისუფლებისაკენ" — ნელსონ მანდელა.
8. „პლაჟი" — ალექს გარლანდი.
9. „დროში მოგზაურის ცოლი" — ოდრი ნიფენგერი.
10. „თამაში ჭვავის ყანაში" — ჯერომ სელინჯერი.

სერვანტესის ცნობილ რომანს თურმე გაგრძელება ჰქონია. შექსპირმა რომანიდან ერთი ფრაგმენტი აიღო და საკუთარი პიესა შექმნა, რომელიც „გლობუსის" სცენაზე ორჯერ იყო წარმოდგენილი. ექსპერტები ამ ჰიპოთეზას კარგა ხანია ამუშავებდნენ, მაგრამ, ამჯერად, დამამტკიცებელი საბუთებიც მოიძებნა. ესპანურ გაზეთ „მუნდოს"-ს ამის შესახებ ბრიტანეთის „შექსპირის სამეფო აკადემიის" დირექტორმა გრეგორი დორანმა აცნობა. მისი განცხადებით, პიესას „კარდენიო" ერქვა ანუ იმ ახალგაზრდა კაცის სახელი, რომელიც სერვანტესის რომანში თავის უიღბლო სიყვარულის ამბავს დონ-კიხოტს უამბობს, მაგრამ ვერ დაასრულებს, რადგან ქალბატონების ლანძღვით რაინდის აღშფოთებას გამოიწვევს. შექსპირმა, როგორც ჩანს, გაგრძელების დაწერა მოისურვა და ამისთვის დრამატურგ ჯონ ფლეტჩერთან გაერთიანდა. ამ პიესის არსებობა კარგა ხნის მანძილზე ლეგენდის დონეზე იყო, რადგან მისი ორიგინალი თეატრ „გლობუსთან" ერთად დაიწვა. და აი, ამჯერად, დორანმა განაცხადა: პიესა ვიპოვნეთ და ესპანელებთან ერთად მას აუცილებლად დავდგამთო.



გერმანიაში, ქალაქ ფრანქფურტის რკინიგზის სადგურში, მსოფლიოში პირველი ოქროს გამყიდველი აპარატი გაჩნდა. ნებისმიერ მსურველს აქ 1,5-დან 10 გრამამდე ოქროს შეძენა შეუძლია. აპარატი პლასტიკურ ბარათებსაც იღებს და ფულსაც, თანაც საბაზრო ფასების შესაბამისად, ფასებს თავადაც ავტომატურად ცვლის.

მასალა მოამზადა **მანანა მიქელაძემ**

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი ლიკა პეტრიაშვილი
კომპიუტ. უზრუნველყოფა თამარ ქავჟარაძე

რედკოლეგიის წევრები:
ნოდარ ბელქანია, გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნანა ჭიღლაძე, ნოდარ ხადური, თემურ ნადარეიშვილი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
22 36 62